სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 22 ნოემბერი 2004 №272 (2293) ფასი 50 თეთრი

პაემანი კრასნოდარში: ჩადიან ქართველი კაცები და...

თბილისში თუ კრასნოდარში, ზურგქარში თუ პირქარში, კლოდ სორელით თუ მის გარეშე — თურმე შეკრების გავლა და შეთამაშებაც არაა აუცილებელი — ეს ხომ ჩვენი რუსეთია, რომელსაც როცა გვინდა და საცა გვინდა, დავამარცხებთ. აი, ასე, იქაც, აქაც, ყოველთვისაც...

ცხრა შეხვედრა და მეშვიდე გამარჯვება. ზედიზედ მესამე კრასნოდარში, ოთხი ჩვენი ლელო იმათი ორის წილ, 12-ქულიანი სხვაობა. რაში და, რაგბიში კი ვჯობივართ რუსებს და ისინი ამ გაუთავებელ მარცხებს „ქართულ კომპლექსად“ ველარ მონათლავენ.

კრასნოდარში 27:15 მშვენიერი ანგარიშია — ასე დაიწყეს ბორჯღალოსნებმა 2007 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირი.

დინამოელმა ლევან მელქაძემ „ლოკომოტივს“ ოთხი შეუგდო

ტრენინგი სპორტინგამდე

დინამომ ლოკომოტივი დაქაქცა

ლევან მელქაძემ და თბილისის „დინამომ“ გუშინ „ლოკომოტივი“ თავის მინდვრიანად ისე დაქაცვეს, რომ 25 ნოემბერს ლისაბონის „სპორტინგს“ იმავ „ლოკომოტივის“ სტადიონზე ფხიანად უნდა დაუხვდნენ— მელქაძემ ოთხი გოლი გაიტანა, ტაბლოზე კი 2:5 აკიაფდა.

პირველი მარცხი ინვნია ლუის ცაკარიასის განვრთნილმა „თბილისმა“ და მეორედან მესამე ადგილზე ჩამოქვეითდა — ჩემპიონმა „ვიტ ჯორჯიამ“ მართლაც კბილი გამოაჩინა, თუმც საჩემპიონოდ ამ დროისთვის ორი გუნდია შემართული — „ტორპედო“ და „დინამო“, რომელთა შორის სხვაობა კვლავაც ორი ქულაა.

და რაც კარგად გვენიშნა, „დინამოს“ კვლავაც შერჩენილი აქვს ჯანი, რათა კუდი ევროპულადაც მოიქნიოს — უეფას თასის ჯგუფური ეტაპის დაძლევის შანსი „დინამოს“ ისევ უმზერს — ამ კვირაში ქართული ფეხბურთის უმთავრესი ამბავიც ეს იქნება. საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასრულებას კი ორი ტური უკლია — ისეთი პირი უჩანს, ნოემბერ-დეკემბრის სუსხში ჩვენი ჩემპიონატი ბევრს შეახურებს...

BARCELUNA!

ბარსა - რეალი: მანძილი ძლემირილან მთვარემდე

აი, ჩატარდა კიდევ ერთი ელ კლასიკო.

მადრიდელებმა დაუშვეს მიუტევებელი შეცდომა და არ იქნებოდა, „ბარსელონას“ ეს შეცდომა ეპატიებინა – მაშინ თავად დაუშვებდა ორმაგად მიუტევებელ შეცდომას.

„ბარსელონამ“ „რეალის“ საჯარიმოში გაითამაშა კომბინაცია და მეორე გოლიც გაიტანა. ასეთ კომბინაციებს ვარჯიშებზე ათამაშებენ ხოლმე.

„ბარსელონამ“ კიდევ მოინდომა და პენალტიც გაიტანა. ახლა „ბარსა“ შვიდი ქულით უსწრებს „რეალს“ და მისი დამწევი აღარავინ ჩანს. მაგრამ არის კაცი, ვისაც სწამს, რომ „ბარსელონას“ დაწევა და გადასწრება ძალიან იოლი თუ არა, არც ძალიან ძნელია. ეს ფლორენტინო პერესია, „რეალის“ ვარსკვლავთმყიდველი პრეზიდენტი. ვნახოთ, ამ საქმიდან რა გამოვა, შეძლებს თუ ვერა „ბარსელონას“ დაუძლურების წამლის ყიდვას.

საქართველოს უმაღლესი ლიგა 16 ჩემპიონატი ლიგა 16 ტური
მეორე ნრეკ

კახა შალამბერიძე

თბილისი. 21 ნოემბერი. 16 საათი. ლოკომოტივი. 1 000 (ტაძრობა 25 600)

ლოკომოტივი 2:5 დინამო

0:1 სილაგაძე (34), 0:2 მელქაძე (65), 1:2 გოგობერიშვილი (69), 1:3 მელქაძე (74), 2:3 სირბილაძე (75), 2:4, 2:5 მელქაძე (88, 90)

ლოკომოტივი: ბათიაშვილი, გ. ონიანი, მახვილაძე, რ. ონიანი, ბაქრაძე, ლაცაბიძე (ლ. ქებაძე 77), სიჭინავა (გ. შენგელია 86), ბურდული, ლ. ჩხაიძე (სირბილაძე 46), გოგობერიშვილი, ბობოხიძე	დინამო: ზოიძე, ჭიჭვეიშვილი, შაშიაშვილი, სალუქვაძე, კვირკველია, ალადაშვილი, სილაგაძე, კ. მახარაძე (კანკავა 58), რომერო, ლ. ახალაია (კაკალაძე 62), მელქაძე
სათადარიგონი: გვარამაძე, სოსელია, ავალიანი, ი. ფლენტი	სათადარიგონი: მამალაძე, გიგაური, დვალი, ხმალაძე, ქუცურუა
მწვრთნელი: ზაურ სვანაძე	მწვრთნელი: გია გეგუჩაძე

გაფრთხილება: ახალაია (22)

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე (ორივე სამტრედია); ა. ორდინიძე (ონი)

სფფ-ის ინსპექტორი: ს. კუტივაძე

მელქაძემ ლოკომოტივი დაღრიჯა

მშრალ დოლინაძე/ბელის ფოტო

ეს ნაღდი დერბი იყო, ნამდვილი თბილისური ჯახი, სადაც ყველაფერი ვნახეთ — ბრძოლა, დაძაბულობა, ნერვიულობა, გოლები და... ეს ყველაფერი სამ სიტყვაში ეტევა — ჩვენ ფეხბურთი ვნახეთ. სწორედ ასეთი თამაშები მოსწონს ხალხს, რომელიც ზოგადად ფიქრობს, რომ სტადიონზე წასვლა და ეროვნული ჩემპიონატის მატჩის ნახვა დროის დაკარგვაა...

სამაგიეროდ, ასე ვერ იფიქრებდა ის ათასამდე კაცი, გუშინ „ლოკომოტივის“ სტადიონზე რომ მოვიდა. შედარებით მშვიდი პირველი ტაიმის მერე შემცივნულები ლამაზმა, სასეირო ბურთაობამ შეგვახურა.

ამ თამაშს გმირიც ჰყავდა — ლევან მელქაძე — ოთხი გოლის გამტანი დინამოელი ფორვარდი ძალიან იშტაზე იყო. თან „ღრეჯომ“ ისეთ მომენტებში შეაგდო, როცა გუნდს უჭირდა, თუმც ამაზე ქვემოთ.

საინტერესოა ისიც, რომ შარშანდლის მერე პირველად მოხდა, „ლოკომოტივ“ — „დინამოს“ მატჩში გოლი რომ გავიდა. გავიდა და თან შვიდი, ნაირ-ნაირი გემოვნებისა.

საწყისი ნახევარი საათი „ქართული“ გამოვიდა. მეტოქეებს თავი არ აუტკივებიათ და დინჯად აგორებდნენ ბურთს. ეგ იყო, ექსდინამოელმა მიხეილ ბობოხიძემ ერთი-ორჯერ გვარიანად გააწვალა „დინამოს“ დაცვა. ბარემ აქვე ვიტყვი — ბობოხიძის გარდა რკინიგზელებს ხუთი ექსდინამოელი ჰყავდათ — ზურაბ ბათიაშვილი, თენგიზ სიჭინავა, გიორგი შენგელია, ლადო ბურდული და ალექსანდრე გოგობერიშვილი, მეექვსე — დავით გვარამაძე სათადარიგო იყო.

მშრალი ნავსი 34-ე წუთზე გატყდა, როცა „ლოკომოტივი“ საკუთარ ნახევარზე დაჯარიმდა. ბურთი დავით კვირკველიამ ჩააწოდა და ლევან სილაგაძემ თავით ზუსტად დაარტყა — 0:1.

ტაიმის დარჩენილ დროში გუნდები მოედნის ცენტრს ედავებოდნენ ერთმანეთს და აქა-იქ კონტრშეტევებით იმუქრებოდნენ, ოღონდ ნაღდი საგოლე მომენტები შეიქმნაო, ვერ ვიტყვით.

მერე კი დაიწყო, რა დაიწყო... მასპინძლებმა გასათანაბრებლად გაიწიეს და „დინამოს“ კართან ხიფათმაც იმატა. შეტევაში წასულ როინ ონიანს ორჯერ მიეცა ურეალურესი შანსი, მაგრამ ჯერ მეკარემ აჯობა, მერე კი ბაქნიდან ვერ შეძლო თავის დარტყმა.

გოლი მწიფდებოდა და გავიდა კიდეც, ოღონდ... რკინიგზელთა კარში — მელქაძემ „დინამოს“ ამოსუნთქვის საშუალება მისცა — 0:2 და ბევრმა იფიქრა, თამაში მორჩაო. ნურას უკაცრავად, „ლოკომოტივმა“ უკან არ დაიხია და მალე გოგობერიშვილმა დაბრუნა ინტრიგა, როცა საჯარიმოში შესულს ზუსტად დარტყმა არ გასჭირვებია — 1:2.

ინტრიგასთან ერთად ზაურ სვანაძის გუნდს იშტაც მოემატა და მოედანიც ადუღდა. სწორედ ამიტომ ვთქვი, მელქაძემ მაშინ გაიტანა, როცა გუნდს უჭირდაო. ჰოდა, ლევანმაც ამჯერად კვირკველიას ჩაწოდებულს მოუძებნა სწორი გაგრძელება. ეს 74-ე წუთზე მოხდა.

რაღა გვექნა, ერთხელაც გავიფიქრეთ, თამაში დასრულდაო და... ვინ გაცალა. მელქაძის გოლიდან წამები იყო გასული, შეცვლაზე შესულმა ირაკლი სირბილაძემ სხვაობის შემცირება რომ შეძლო — 2:3.

სტადიონიც ახმაურდა და აქ ერთი ამბავიც უნდა აღვნიშნოთ: „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობამ სტადიონზე მზრუნველობამოკლებული ბავშვები მოიპატიჟა, რაც პირველად არ ხდება. თამაშის დაწყებამდე ბავშვებს ფენოვანი ხაჭაპურებით გაუმასპინძლდნენ და სანაცვლოდ ალალი, მხურვალე ქომაგობაც მიიღეს.

მოკლედ, დრო გადიოდა და გმირობა თუ ვინმეს ეკუთვნოდა, ეს ლევან მელქაძე იყო — 88-ე და 90-ე წუთებზე დინამოელთა თავდამსხმელმა ისევ გაიბრწყინა და მნიშვნელოვანი სამი ქულა დაუბევა თავის გუნდს.

5:2 — ასეთი ანგარიშით მოიგო „დინამომ“ და ლისაბონის „სპორტინგთან“ საუეფასთასო მატჩამდე განწყობა გამოიკეთა. სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება *გია გეგუჩაძემ* მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე:

...ვფიქრობ, დამსახურებულად მოვიგეთ. ალბათ მაყურებელს არ მოუწყენია და ეს ამბავი ძალიან მსიამოვნებს. კარგი თამაში იყო და „სპორტინგსაც“ კარგ ხასიათზე ვხვდებით. ეს მოგება ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო.

...დაცვის შეცდომების გამო ორი გოლი გავუშვით და ეს ხარვეზები „სპორტინგამდე“ უნდა გამოვასწოროთ. იმედი მაქვს, ბიჭები თავადაც გააკეთებენ დასკვნებს.

...კანკავას დასვენების საშუალება მივეცი და მხოლოდ მეორე ტაიმში შევუშვი. „სპორტინგთან“ ალბათ ძირითადში ვათამაშებ.

...„ლოკომოტივი“ კარგი გუნდია და ძალიან მიხარია, რომ ჩვენს ჩემპიონატში ასეთი თამაშები გახშირდა. დაძაბული და საინტერესო მატჩი იყო, რაშიც ყველა დამეთანხმებით. ალბათ გაგვიმართლა კიდეც — საჭირო დროს გავიტანეთ გოლები.

მშრალ დოლინაძე/ბელის ფოტო

გოლთაცვენა „ლოკომოტივის“ კარში ლევან სილაგაძის (მარჯვნივ) თავურით დაიწყო

საუკეთესო



ლევან მელქაძე

მატჩის მიმოხილვაში არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ მელქაძემ გოლები საჭირო დროს გაიტანა. იგივე ახლაც უნდა ვთქვათ და ამით დინამოელთა თავდამსხმელის წვლილი თუ იზომება — მელქაძემ ოთხი გოლი გაიტანა, ოთხივე ლამაზი და... ერთხელაც გავიმეოროთ, ოთხივე მაშინ, როცა „დინამოს“ სჭირდებოდა. ალბათ ამის შემდეგ არ გაგიჭირდებათ კითხვა, თუ ვინ იყო მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი. რა თქმა უნდა, ლევან მელქაძე.

ირაკლი ებანოიძის თავური, ცაცო დევაძის ამაო ნახტომი და 2:0

დისკვალიფიკაციის კვალი

თბილისი. 20 ნოემბერი. 14 საათი. ოლიმპი. 500 (ტევადობა 3 000)

თბილისი 0:2 ვიტ ჯორჯია

0:1 მერებაშვილი (42პ), 0:2 ებანოიძე (82)

თბილისი	ვიტ ჯორჯია
თბილისი: დევაძე, მიქიაშვილი, ორბელაძე, ა. კალაძე, ელიავა, დ. ოდიკაძე, ფიფია (გ. მოდებაძე 80), გოგუა, გ. ნუგ. ჭელიძე (ლოლაძე 45), აფციაური (მიკუჩაძე 60), მიქაძე	ვიტ ჯორჯია: მამარდაშვილი, ვ. გოჩაშვილი, გ. კვახაძე, ინწკირველი, იმედაშვილი, ლ. კვარაცხელია, ლ. ნოზაძე, დილმელაშვილი, ადამია (მ. დათუნაიშვილი 67), ე. მერებაშვილი (სახოკია 73), მარცვალაძე (ებანოიძე 82)
სათადარიგონი: შეყრილაძე; ჯიქია, ტლენტი, მესხი	სათადარიგონი: ბედიაშვილი; დ. ლომაია, ცხომარია
მწვრთნელი: ლუის ცაკარიასი	მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე

გაფრთხილება: მიქიაშვილი (42), ფიფია (49), კალაძე (51), მამარდაშვილი (70), კვარაცხელია (82)

მსაჯები: მ. მალალურაძე (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), ზ. ჯვარიძე, ლ. ფანიაშვილი (ორივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ვ. ბარქაია

ვაჟა ხუციშვილი

მამაჩემი სტალინგრადში იბრძოდა და სტალინის სახლ-მუზეუმის სანახავად გორში უნდა წავიდეო, თქვა ავსტრიელმა, რომელიც სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ირაკლი მეძმარიაშვილს ახლდა მატჩზე. სააგენტო „სპორტკონსალტ ინვესტის" სამი ავსტრიელი წარმომადგენელი თბილისური დერბის სანახავად მობრძანდა და ფეხბურთელებს ზვერავდა.

ავსტრიელი სტუმრის მამის ამბავი გაირკვა, მაგრამ ვერ გეტყვით, ვისი მამა, ბიძა თუ ძმა იყო ის კაცი, მთელი მატჩის განმავლობაში მასპინძელ ფეხბურთელებს რომ ჰკარნახობდა, „კარგია!", „ყოჩაღ!" „ჯიგარი ხარ!" „მარჯვნივ მიეცი!" „მარტო ხარ!", „შენია!", „საღოლ!", „არ უშავს!", „მიილე!", „თავი აწიე!" — კაცი არ გაჩუმებულა თამაშის დასრულებამდე.

ამ მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს პირველი არხი აპირებდა, მაგრამ პირველი ტაიმი საქართველოს პრეზიდენტის კახეთში ვიზიტის გამო ჩაიშალა და ტელევიზიის კომენტატორს საქმე გაუნახევრა.

გივი კვარაცხელია, რევაზ გეწაძე, გოჩა ხოჯავა და სანდრო იაშვილი დისკვალიფიკაციის გამო დააკლდნენ „თბილისს", ხოლო რევაზ ქემოკლიძე ტრავმირებულია. ასეთ ვითარებაში მასპინძლებს დაცვაში სიმტკიცე, ნახევარდაცვაში სიმწვავე, ხოლო თავდასხმაში იაშვილის ჟინი აკლდათ, რამაც საბოლოოდ განაპირობა კიდეც შეხვედრის შედეგი.

საგოლე მომენტების სიუხვით „ვიტ ჯორჯიამ" მეტოქეს აშკარად აჯობა, მაგრამ თამაშიდან მხოლოდ ერთი გოლის გატანა მოახერხა. „თბილისის" დაცვა იმტაზე ვერ იყო, იერიშებს კი საბოლოო პასის სიზუსტე აკლდა. თავის მხრივ „ვიტ ჯორჯია" გაცილებით მწყობრად ირჯებოდა.

მე-15 წუთზე სტუმრები „აფეთქდნენ". მერებაშვილმა საჯარიმოში ბურთი მოარჯულა და მარცვალაძეს დაუგორა, მაგრამ ვიტელის დარტყმული დევაძემ კუთხურზე გაისტუმრა. კუთხურიდან ადამიას ჩაწოდებული ბურთი მეკარის ზურგსუკან, ცხრიანში ეშვებოდა, თუმც დევაძემ კვლავ კარსუკან გადააგდო. მომდევნო კუთხურს მარცვალაძემ დარტყმა მიაყოლა და ამ შემთხვევაშიც არაზუსტად.

რამდენიმე წუთის შემდეგ მიქიაშვილი შეცდა — საჯარიმოში ჩაგდებულ ბურთს თავი ააცილა. საჩუქარი ადამიამ ვერ შეირგო, დევაძესთან პირისპირ დარჩენილმა ბურთი ხარიხის ზემოთ გაუშვა. „თბილისის" კართან გოლის სუნი დატრიალდა, მაგრამ მომდევნო ეპიზოდში მარცვალაძემ ვერ ივარგა — დარტყმა დააყოვნა და მცველები ბურთზე ჩაუხტნენ. შემდეგ კი კვარაცხელიას ნათავურალმა დევაძის კარს [illegible].

პირველი ტაიმის დასრულებამდე სამი წუთით ადრე, [illegible]ლი მეტოქის საჯარიმოში ბურთიანად რომ აღმოჩნდა და კარისკენ შებრუნებულს მიქიაშვილმა მხრებში ხელები ჩასჭიდა. ვიტელი წაიქცა და მალალურაძემ პენალტის ნიშნულისკენ მიუთითა. მერებაშვილმა დარტყმა თავად იკისრა და ანგარიში გახსნა.

მხოლოდ ამის შემდეგ შექმნეს მასპინძლებმა უნაღდესი საგოლე მომენტი. მაგრამ აფციაურმა დაახლოებით ათი მეტრიდან ჩარჩოს ვერ დაუმიზნა.

მეორე ნახევარი „თბილისმა" მოწინააღმდეგის ნახევარზე გაატარა. ცაკარიასმა ჭელიძის ნაცვლად ლოლაძე შეუშვა, რომელიც მარჯვენა ფლანგიდან ფხიანად ერთვებოდა შეტევებში, თუმც კიდევ ერთხელ უნდა შევნიშნოთ, რომ დამხვდურებს ფორვარდი აკლდათ.

გოგუამ საჯარიმო დარტყმა დაახლოებით 25 მეტრიდან შეასრულა. მამარდაშვილს ფეხი არ მოუცვლია, ბურთმა კი მისგან მარცხენა ძელთან ჩაიზუზუნა. მომდევნო საჯარიმოს შესრულება ოდიკაძემ ითავა და მისი ცდაც ამაო გამოდგა.

შეტევით გართულ „თბილისს" დროდადრო მეტოქის კონტრშეტევები აფხიზლებდა. მარცვალაძე მცველებს გაექცა და დევაძისთვის თავზე ბურთის გადავლებას შეეცადა, მაგრამ არ გამოუვიდა.

საპასუხოდ „თბილისმა" მრავალსვლიანი კომბინაცია მოქსოვა და ოდიკაძემ ბურთი კარის წინაც გაასრიალა, თუმც მიქაძემ ვერ მიუსწრო. მერე კი მიკუჩაძე აღმოჩნდა მამარდაშვილისგან ხუთიოდ მეტრში, ოღონდ აქ უკვე დათუნაიშვილმა იყოჩაღა და მიკუჩაძის დარტყმულ ბურთს გადაეფარა.

შეხვედრის დასრულებამდე ათი წუთით ადრე მარცვალაძის ნაცვლად ებანოიძე შევიდა, რომელმაც გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. ლევან კვარაცხელიამ საჯარიმოს გარედან ძლიერად დაჰკრა, დევაძემ ბურთი მოიგერია და დამატებაზე ებანოიძემ თავით გაიტანა.

საუკეთესო

ლევან კვარაცხელია

ამ შეხვედრაში გამორჩეული ლევან კვარაცხელია იყო. ვიტელს აშკარად ეტყობოდა, რომ ჯანს არ უჩივის. შეტევებში კარგად ერთვებოდა, პასებსაც არ აგვიანებდა და კარშიც ურტყამდა. სწორედ მისი უძლიერესი დარტყმის შემდეგ მოიგერია ბურთი დევაძემ, რასაც მასპინძელთა კარში მეორე გოლი მოჰყვა.



მოგება და წაგება კოლეგები არიან: მერაბ კოჰლაშვილი, ვლადიმერ ხაჩიძე და ლუის ცაკარიასი, გიორგი დევდარიანი

ქუთაისი. 20 ნოემბერი. 14 საათი. ტორპედო. 2 000 (ტევადობა 20 000)

ტორპედო 5:0 სიონი

1:0 მეგრელაძე (53), 2:0 ნერგაძე (16), 3:0, 4:0 მეგრელაძე (43, 58), 5:0 ჩხეტიანი (85)	
ტორპედო: სტურუა, ებრალიძე, გამეზარდაშვილი, ნერგაძე, მემარნიშვილი, ბოლქვაძე (რევაზიშვილი 70), კოშკაძე (გ. დარსაძე 55), ს. თოდუა, მერებაშვილი, ბაბუნაშვილი, მეგრელაძე (გ. ჩხეტიანი 79) სათადარიგონი: გ. გაბელია; ლალაძე, დათუნაშვილი, მუმლაძე. მწვრთნელი: ოთარ გაბელია	სიონი: ი. რეხვიაშვილი, ექიზაშვილი, მუშკუდიანი, კორსანტია, მიქელაძე, ავალიძე (თ. რეხვიაშვილი 73), გ. დოლიძე, ჩოხელი, ვ. უგრეხელიძე, ჩაგელიშვილი (ა. უგრეხელიძე), ოქროპირიძე სათადარიგონი: ასლანაძე; ცქვიტაია, გ. ჩალაძე, ბ. შელია, რუსია. მწვრთნელი: გიორგი ყიფშიძე
მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); გ. ცირდავა (გულრიფში), მ. ელიკაშვილი (თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)	
სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი	

მიზეზთა გამო: ცდილები და უცდელები
იონა, მოგინატრა რიონმა

გია ამირანაშვილი ქუთაისიდან

თამაშის დაწყებამდე წუთებით ადრე, სტუმართა შემადგენლობის გამოცხადებისთანავე ნათელი გახდა, რომ „ტორპედო“ ზედმეტი ნერვიულობის გარეშე მოიგებდა.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, „სიონის“ გამოცდილ ფეხბურთელებსა და კლუბის ხელმძღვანელობას შორის წარმოქმნილი უთანხმოების გამო ბოლნისელები ქუთაისს გამოუცდელი მოთამაშეებით ეწვივნენ.

ამით მასპინძლებმა კარგად ისარგებლეს და დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს. „ტორპედომ“ თავიდანვე აქტიურად დაიწყო და მალევე დაწინაურდა კიდეც. საჯარიმოში შეჭრილი დავით ბოლქვაძე მცველებმა აკრძალული ხერხით შეაჩერეს და ზურაბ ანიაშვილმაც უყოყმანოდ დანიშნა პენალტი — გია მეგრელაძემ უნაკლოდ დაარტყა — 1:0.

მალე „სიონსაც“ შეეძლო გატანა, მაგრამ გრიგოლ დოლიძემ ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა. მე-16 წუთზე კი აქტიურმა გია ნერგაძემ ალექსანდრე კოშკაძესთან კედელი გაითამაშა, მეკარესთან პირისპირ გავიდა და დაბალ კუთხეში შეაგდო.

ამის შემდეგ ტაიმის ბოლო წუთებამდე მოედანზე საინტერესო არაფერი მომხდარა. 43-ე წუთზე კი კოშკაძის ფლანგურ გარღვევას და ჩაწოდებას მეგრელაძის აუღებელი თავური მოჰყვა და 3:0.

მეორე ნახევარში სტუმრები ცოტა გააქტიურდნენ, რამდენიმე გააზრებული შეტევაც განახორციელეს, თუმც ზვიად სტურუა უშეცდომო იყო.

58-ე წუთზე ისევ მეგრელაძემ ივარგა — ტორპედოელთა კუთხურს ლევან მერებაშვილმა დაჰკრა, მცველებმა კარის ხაზთან შეაჩერეს ბურთი, მაგრამ დამატებაზე ყველას მეგრელაძემ დაასწრო და ჰეთ თრიქი შეასრულა.

მატჩს კი წერტილი გაგა ჩხეტიანმა დაუსვა. ტრავმამოშუშებულმა ფორვარდმა შოთა ბაბუნაშვილის პასი მიიღო, ორ მცველს და მეკარეს გაუსწორდა და ცარიელ კარში გაიტანა — 5:0.

გიორგი ყიფშიძე: „ტორპედო“ ძლიერი გუნდია და ღირსეულად მოგვიგო. ჩვენს გუნდში შიდა პრობლემებია ფეხბურთელებსა და ხელმძღვანელობას შორის, თუმცა იმედია, მალე ყველაფერი მოგვარდება. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ფინანსები არაფერ შუაშია. გამოუცდელი ბიჭებით ვითამაშეთ და წაგებისთვის განწირულები ვიყავით. ყველა ღონეს ვიხმართ, რათა უმაღლესი ლიგიდან არ გავვარდეთ.

ოთარ გაბელია: არ ველოდი, „სიონი“ მეორე გუნდით თუ ჩამოვიდოდა. ბოლნისში მიმუშავია და ძალიან მეწყინება, ეს გუნდი თუ გავარდება.

ზამთარში ხუთი-ექვსი მოთამაშე თუ არ დავიმატეთ, სამეულში მოხვედრაც გაგვიჭირდება. ზურაბ იონანიძე ჩვენთან ვარჯიშობს, მისი საკითხი ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია.

გია მეგრელაძე ბომბარდირის გრაფიკით მიდის

ზესტაფონი. 20 ნოემბერი. 14 საათი. ცენტრალური. 800 (ტევადობა 8 000)

ზესტაფონი 2:1 ბათუმი

1:0 სულაკაძე (60), 1:1 დარჩიძე (64), 2:1 ჩილვინაძე (81)	
ზესტაფონი: მერკვილიშვილი, სიდამონიძე, რაქვიაშვილი, შავგულიძე, კვერნაძე (ქურციკიძე 76), გ. თურმანიძე, ნუდნი (გვარუციძე 83), ბესარაშვილი, სულაკაძე, დ. ჯანაშია (ჩილვინაძე 46), ზირაქიშვილი სათადარიგონი: თ. ოდიკაძე; პარამონოვი, მელიქია, ბაჯელიძე. მწვრთნელი: თემურ მახარაძე	ბათუმი: გრიშიკაშვილი, ი. მახარაძე (დარჩიძე 23), ღლონტი, გალოგრე, ექონია, ხუჯაძე, ჩიკვილაძე, მანჩხავა, გუშარაშვილი, ბესიკ თედორაძე (ი. შენგელია 82), ხომერიკი (ფირცხალაიშვილი 59) სათადარიგონი: ი. ბალაძე; გ. ნოდ. ჭელიძე, ქაცარავა, მალანია. მწვრთნელი: ნუკრი გოგიტიძე
გაფრთხილება: გუშარაშვილი (36), კვერნაძე (43)	
გაძევება: ზირაქიშვილი (90)	
მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); მ. ურუშაძე, ზ. მენთეშაშვილი; მ. მაისურაძე (სამივე თბილისი)	
სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში	

ზაზა ზირაქიშვილმა (მარცხნივ) ქებაც დაიმსახურა და წითელი ბარათიც

ფეხრო უნდა შეიფერო
ზესტაფონში ქულების წარმოება დაიწყო

ილია ნანოზაშვილი ზესტაფონიდან

ნამატჩევს ბათუმელთა თავკაცმა ნუკრი გოგიტიძემ ჟურნალისტებს გვითხრა, სამი დღის უვარჯიშებელმა გუნდმა ფიზიკურად კიდევ კარგად გაძლოო. და რატომ არ უვარჯიშიათ? გოგიტიძემ ეს კითხვა უპასუხოდ დატოვა. როგორც მერე შევიტყვეთ, „ბათუმს“ მცირედი ფინანსური პრობლემები ჰქონდა. თუმც, საბედნიეროდ, ყველაფერი მოგვარდაო — ასე გვითხრა კლუბის გენერალურმა დირექტორმა ასლან ბალაძემ.

ამ დროს კი „ზესტაფონს“ სწორედაც რომ ეფეხბურთება და თანაც როგორ... ფინანსურად მოფერიანებული კლუბი თემურ მახარაძის თავკაცობით მოგებებს გაუშინაურდა, გასავარდნ ზონას 5 ქულით დაუსხლტა და ამაზე გაჩერებას არ აპირებს: შევიტყვეთ, რომ ზამთრის შესვენებაზე ფეროელები რამდენიმე სახელიანი ფეხბურთელით გაძლიერდებიან, რომელთა შორის ყველაზე რეალურად კახა ჩხეტიანის და გიორგი იმედაძის კონტრაქტები ჩანს.

თქვენი ნებართვით, თამაშის აღწერას მეორე ტაიმიდან დავიწყებთ, რადგან პირველ ნახევარში ფეხბურთი, როგორც ასეთი, არ ყოფილა. გვერდით მჯდომი ერთი ქომაგი გაკვირვებული მიყურებდა და მერე მკითხა, ბლოკნოტში რას ინიშნავო. რა ჩავინიშნე? ის, რომ „ბათუმს“ ძირითადში არ ჰყავდა მეგოლე გიორგი ჭელიძე; ის, რომ 50-მდე სკოლის მოსწავლე „ზესტაფონი“, „ზესტაფონის“ ყიჟინით და ალაგ-ალაგ მსაჯების გინებით დაიღალა; კიდევ ის, რომ მასპინძელი უფრო ხშირად ფლობდა ბურთს და უფრო მონდომებული თამაშობდა.

მეორე ტაიმში იმერლებმა უფრო თამამად შეუტიეს. ისინი ლამის ყველა ორთაბრძოლას იგებდნენ, ბათუმელებს კი რაღაც ნაპერწკალი აკლდათ და აშკარად ჩანდა, რომ ფრეზეც სიამოვნებით მოაწერდნენ ხელს. „ზესტაფონის“ პირველი საგოლე მომენტი ზაზა ზირაქიშვილმა შექმნა, 10-12 მეტრიდან სანტიმეტრებით ააცილა, თუმც გოლმა არ დაიგვიანა: სტუმართა მეკარე სოსო გრიშიკაშვილმა გამოსვლაზე უხერხულად მოიგერია ბურთი, თემურ რაქვიაშვილმაც უცბად მოისაზრა და შორეულ ძელთან ჩასაფრებულ გოჩა სულაკაძეს უპასა, რომელმაც მეკარისგან დაუცველ კარში გაიტანა — 1:0. აყრიამულებული სტადიონი ოთხ წუთში ვიტალი დარჩიძემ გააჩუმა: ბათუმელთა გამთამაშებელი ისედაც გამორჩეული იყო სტუმართაგან, ამ მომენტში კი შორიდან საბილიარდო სიზუსტით ისეთი დაარტყა, რომ მერკვილიშვილს შანსი არ ჰქონია — 1:1.

მორჩა, ამის შემდეგ აჭარელებს იმერელთა კარისკენ აღარ გაუხედავთ. გრიშიკაშვილმა ავაზასავით იხტუნა აქეთ-იქით, ჯერ კვერნაძეს, მერე კი სიდამონიძეს მკვდარი ბურთები აუღო. „ზესტაფონმა“ შტურმი მოაწყო და მომწიფებული გოლიც მალე მოინაგრა: მატჩის საუკეთესო ფეხბურთელმა ზირაქიშვილმა მკერდზე გაიჩერა ბურთი, დარტყმის ნაცვლად პასი გამოუვიდა და შეცვლაზე შესულმა დავით ჩილვინაძემაც ორიოდე მეტრიდან გაიტანა.

„ბათუმი“ გამთანაბრებელი აღარ იყო, აღარც ძალა ჰქონდა და ამიტომაც სრულიად უაზროდ გვეჩვენა ზირაქიშვილის გაფიცხება, რომელსაც უხიფათო მომენტში ბესიკ თედორაძეს ეუხეშა და გააძევეს. ზესტაფონელი ქომაგები წუხდნენ, ზაზა ნახევარი გუნდია და უმაგისოდ მომდევნო ტურში ძალიან გაგვიჭირდებაო — ალბათ ასეც იქნება...

თემურ მახარაძე: ეს სამი ქულა ჰაერივით გვჭირდებოდა და გუნდი შეტევისთვის მოვმართე. „ბათუმი“ მთელი თამაში დაცვაში იდგა და გოლების გატანაც ამიტომ გაგვიჭირდა. რაც შეეხება ზირაქიშვილს, მსაჯმა იგი სამართლიანად გააძევა.

ნუკრი გოგიტიძე: „ზესტაფონმა“ ღირსეულად მოიგო. გაშვებულ გოლებს არავის ვაბრალებ. თამაშს ერთი ფეხბურთელი კი არა, მთელი გუნდი აგებს. ჭელიძე ტრავმის გამო არ გვყავდა, ფეხი სტკივა და ამ ერთი თამაშისთვის გარისკვა არ ღირდა.

ფოთი. 20 ნოემბერი. 14 საათი. ფაზისი. 100 (ტევადობა 6 000)

კოლხეთი 4:0 დილა

4:0 ძოძუაშვილი (63), 2:0 ღონღაძე (69), 3:0 თოდუა (77), 4:0 ძოძუაშვილი (89)

კოლხეთი: ქვაჩახია, ჭითანავა. დ. ნარსია, ღონღაძე, აკობია, მ. ქობულაძე, კუნჭულია, ვართაგავა (ზ. ქუთათელაძე 46), ე. მარგალიტაძე (თაყაძე 79), გ. თოდუა, ძოძუაშვილი
სათადარიგონი: გ. შენგელია; გ. კილასონია, ჭედია
მწვრთნელი: სერგო გაბელაია

დილა: სომხიშვილი, ბალაშვილი, ქარქუზაშვილი, ლომიძე, მასურაშვილი, რაზმაძე, შატაკიშვილი (ჯობაძე 61), გაბლაია (ფოფხაძე 75), სულთანიშვილი, წუწუნავა (მძინარიშვილი 67), ალ. ლაბაძე
სათადარიგონი: თ. ილურიძე, ხანიშვილი, თომაშვილი, კურტანიძე
მწვრთნელი: სოსო ვაშაკიძე

გაფრთხილება: მარგალიტაძე (14), ქობულაძე (55), შატაკიშვილი (59), სომხიშვილი (69)

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ი. აფციაური (დუშეთი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: გ. სორდია

გატანის ანატომია: გოლები თავით, ფეხით, მკერდით...

გოჩა ჯანაშია ფოთიდან

როგორც ჩანს, გორის „დილას" ნაადრევად „შემოაღამდა" და, ზამთრის შესვენებაზე თუ გაძლიერდება რამენაირად, თორემ მას პერსპექტივისა არაფერი უჩანს. თიბილელი ერთი ხანი გაიბრძოლეს შაბათს გორელებმა, მაგრამ მეორე ტაიმმა მათი მცდელობა მთლიანად მოსრა.

„ფაზისზე" მოსული ასიოდე ქომაგი შესვენებამდე ფრიად მოსაწყენი სანახაობის მომსწრე შეიქნა. სერგო გაბელაიამ „დინამოსთან" ფრის გამჩარხავი შემადგენლობა არ შეცვალა და ისევ ერთი გამოკვეთილი თავდამსხმელით ათამაშა გუნდი. არადა, „დილა" „დინამო" ნამდვილად არაა და მწვრთნელის ასეთი გადაწყვეტილება ბევრს ეუცნაურა კიდეც.

ამიტომაც იყო, კოლხებმა პირველ ტაიმში ვერაფერი რომ ვერ იხეირეს. არა, უპირატესობა მათი კი იყო, მაგრამ რამდენიმე მეტ-ნაკლები საგოლე ეპიზოდის გოლად ქცევა ვერ მოახერხეს. გატანის ყველაზე რეალური შანსი სტუმართა კართან ტაიმის ბოლოსკენ შეიქმნა. სასწაულებრივ არ გაუმართლა შეტევაში ჩართულ ჭითანავას, რომელიც მეკარესთან მარტო შერჩა ძოძუაშვილის მახვილგონივრული მოქმედების შედეგად, მაგრამ შვიდიოდ მეტრიდან დარტყმულ ბურთი ჯერ მარჯვენა, ხოლო შემდეგ მარცხენა ძელს მოხვდა.

გორელებმა დაცვაში ბალაშვილის და შუა ხაზში რაზმაძის მეოხებით თითქოს სცადეს მეტოქისთვის წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ მეორე ტაიმიდან „კოლხეთის" შეჩერება შეუძლებელი შეიქნა. გაბელაიამ მეორე ფორვარდი — ქუთათელაძე ჩართო საქმეში და სომხიშვილის კართან ხიფათმაც იმატა. გოლთაცვენა კი 63-ე წუთიდან დაიწყო, როცა მარჯვენა ფლანგზე ჭითანავა გაიჭრა და კარის გასწვრივ ძლიერადაც ჩააწოდა. „დილას" მეკარემ ბურთი ხელებში ვერ შეიმაგრა და იქვე დადარაჯებულმა ძოძუაშვილმა მკერდით დალაშქრა ცარიელი კარი.

ამის შემდეგ სტუმართა მარცხენა ფლანგი გადი-გამოდი იყო და პირველი გოლის დარად, დანარჩენი სამიც აქედან იშვა. მეორე გოლს დიდხანს არ დაუგვიანია: მარჯვნიდან აკობიამ კუთხური ჩააწოდა, შორეულ ძელთან კი ღონღაძემ ივარგა.

სტუმართა წვალება ამით არ დასრულებულა. ლამის ყოველი იერიში მათ კარზე უცილობელი ხიფათის მომასწავებელი იყო. ეგ არის მხოლოდ, რომ კოლხებმა კიდევ ორი გოლის გარდა მეტი ვერ გაიტანეს. ორივე გოლი ძლიერ ჩამოჰგავდა ერთმანეთს. ჯერ მარგალიტაძემ ჩააწოდა და საპენალტოსთან სრულიად მარტო თოდუამ თავით მშვიდად ააფართხალა ბურთი ბადეში.

ბოლოსწინა წუთზე კი ასისტენტობა იმავ თოდუამ იკისრა, გატანა კი ძოძუაშვილმა. კვლავ ფლანგიდან შეუტიეს კოლხებმა და დუბლის გამჩარხავ ძოძუაშვილს საჯარიმოში ხელის შემშლელი არც ამჯერად ჰყავდა, ერთია ოღონდ, რომ მას მკერდის მოშველიება აღარ დასჭირვებია, ფეხითაც იოლად გავიდა ფონს.

ტორპედო	16	10	5	1	27:8	35
დინამო	16	10	3	3	35:18	33
თბილისი	16	9	3	4	33:19	30
ვიტ ჯორჯია	16	8	4	4	28:19	28
ლოკომოტივი	16	6	7	3	21:12	25
გათუმი	16	6	4	6	22:15	22
ზესტაფონი	16	5	1	10	12:33	16
კოლხეთი	16	4	3	9	14:23	15
სიონი	16	3	2	11	13:38	11
დილა	16	2	2	12	11:31	8

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ვეტერანთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა წარსულში თბილისის „დინამოს" (1939-1948) და თბილისის „სპარტაკის" (1949-1952) მეკარე

გივი იოსელიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.
პანაშვიდი: 23-24 ნოემბერი, 16 სთ.
გამოსვენება: 25 ნოემბერი, 14 სთ.
მისამართი: წინამძღვრიშვილის 137ა

საქართველოს პირველობა ლიგა — 16 — საქართველოს პირველი ლიგა — ჩემპიონატი ნრე — 14 ტურ.

დაარტყი! გოლის გზა შორიდან უფრო მოკლეა

ბაზრი კეთილაძის ფოტო

პირველი გოლისას წმორელთა მეკარემ კონსტანტინე სეფიაშვილმა ბურთს თვალიღა გააყოლა

კობა ინასარიძე

გუშინ გლდანში ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი იყო. „ამერი" „მილანი-მერანს" მასპინძლობდა. სხვათა შორის, კახელებს ის გუნდი ჰყავთ, რომელმაც ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერ „ბორჯომს" სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართა და გაცუდებული პენალტის მიუხედავად ორი ქულა დააკარგვინა.

მატჩამდე კერკეტ მეტოქესთან ქულების დაკარგვის შიში ჰქონდათ ამერელებსაც — მასპინძლები მეტოქეს უძლიერესი შემადგენლობით ვერ უხვდებოდნენ: დისკვალიფიკაციის გამო ალექსანდრე კაიდარაშვილი და ამირან კედელაშვილი ვერ თამაშობდნენ, ხოლო დავით მჭედლიშვილი ტრავმირებული იყო. ესენი კი თბილისელებისთვის დიდი ძალაა.

თუმც, კედელაშვილი დაცვის მარჯვენა ფლანგზე სრულფასოვნად შეცვალა ჯაბა ბერიანიძემ, საყრდენის პოზიციაზე გეგი გარუჩავა იყო კაიდარაშვილის ადგილას, გივი ჩხეტიანმა კი გუნდს უმჭედლიშვილობა არ დააკლო.

მატჩი ისე არ დაიწყო, როგორც ქომაგი „ამერისგანაა" ჩვეული — შტურმი არ იყო. შეიძლება ისეც ითქვას, რომ მასპინძლებს კახელებმა არ მისცეს ამის საშუალება. დასაწყისში უპირატესობა თბილისელებს ჰქონდათ, მაგრამ არც სტუმრები ჩამორჩებოდნენ და მეტწილად ნიკოლოზ ზედელაშვილის წყალობით ორ-სამჯერ მასპინძლებს მწარედაც უჩხვლიტეს.

ამასობაში კი მატჩის მე-12 წუთმაც მოატანა. „ამერმა" მარცხნიდან შეუტია, მაგრამ საჯარიმოს სიახლოვეს სტუმრები დაჯარიმდნენ. ამერელები ბურთის გასწორებას კი ხანი მოუნდნენ, ეტყობოდათ, „რაღაც" უნდა გაეთამაშებინათ. გაათამაშეს კიდეც: გიორგი სილაგავამ კარის ახლო კუთხესთან ჩააწოდა, შორეულ ძელთან მყოფი დავით სევასტოპულო ადგილიდან ჩაწოდებამდე დაიძრა, მცველებს შუა გზა გაიკაფა და, როგორც გამოჩნდა, მისთვის განკუთვნილ პასს თავურიც ზუსტად დაჰკრა — 1:0.

თბილისი. 21 ნოემბერი. ფკ ამერის სკოლა. 300 მაყურებელი

ამერი 2:0 მილანი-მერანი

1:0 სევასტოპულო (12), 2:0 გარუჩავა (80)

ამერი: ნაჭყეპია, ელბაქიძე, დავითნიძე, გ. დეკანოსიძე, გარუჩავა, დავითაშვილი (ნადირაძე 90), ბერიანიძე, სევასტოპულო (წინამძღვრიშვილი 79), ჩხეტიანი (სამსიანი 79), ხვადაგიანი, სილაგავა
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

მილანი-მერანი: სეფიაშვილი, ჯონჯუა (ჭეიშვილი 28), გრიგალაშვილი, ფარფალია, სახოკია (ოსიტაშვილი 46), ვ. დეკანოსიძე (კობახიძე 70), სარალიძე, ქირია, მიქაძე, ჩაჩანიძე, ზედელაშვილი
მწვრთნელი: დავით ეჯიბიშვილი

გაფრთხილება: ქირია (20), ჩხეტიანი (52), ფარფალია (72), გარუჩავა (78)

მსაჯები: მ. მაისურაძე; ხ. გაგნიძე, დ. კურტანიძე; მ. მალაღურაძე

მერე უკვე, როგორც ხშირად ხდება, ფსიქოლოგიური უპირატესობა მასპინძლებისა იყო და მათ რამდენიმე კარგი მომენტიც გააცუდეს, თუმც არ ითქმის, ნაღდი საგოლე შანსები ჰქონდათო. სტუმრებიც საკმაოდ აგრესიულად გამოიყურებოდნენ.

შესვენების შემდეგ კი მოედნის ცენტრს მთლიანად სტუმრები დაეუფლნენ. კახელთა მწვრთნელმა დავით ეჯიბიშვილმა სახოკია ოსიტაშვილით შეცვალა, ამ შემტევმა მცველმა გუნდის შუა ხაზი უფრო გააძლიერა და „ამერსაც" გაუჭირდა.

„მილანი-მერანის" კაპიტანი ლევან სარალიძე ძალიან სახიფათო დარტყმით დაემუქრა მეტოქეს, რომელიც ამერელთა მეკარემ რევაზ ნაჭყეპიამ მუშტებით მოიგერია.

ტერიტორიული უპირატესობა ისევ კახელებისა იყო. მასპინძელთა მცველები ერთი შეხედვით ინერტულად, თუმც საიმედოდ აზღვევდნენ ერთმანეთს და ბურთი ნაჭყეპიამდე იშვიათად აღწევდა.

გიორგი ჩიხრაძემ ორმაგი შეცვლა გააკეთა და წუთის შემდეგ ეს გოლითაც დაუფასდა: გარუჩავამ ბურთი სეფიაშვილის კარისკენ წაიღო, საჯარიმოს მიახლოებულს ორჯერ ჰქონდა დასარტყმელი პოზიცია, მაგრამ ვერ გაბედა, ბოლოს კი... გაბედა და ბურთი ცხრიანშიც გაიტანა — 2:0.

მატჩიც, ფაქტობრივად, აქ დამთავრდა. მერე უკვე გუნდები არბიტრის საფინალო სასტვენის მოლოდინში იყვნენ და გარუჩავას, დავითაშვილისა და სილაგავას ნაღდი მომენტების გამოუყენებლობაც ამას მივაწეროთ, თბილისელთა მეკარის, ნაჭყეპიას მოგერიებული სამ-ოთხი ძალიან რთული ბურთი კი მის თავდაჯერებულობას. რეზო გუშინ ისე იყო, ასი რომ დაგერტყა, ალბათ, ერთს ვერ გაუტანდი.

ჩიხურა 5:1 მაღაროელი

სპარტაკი 1:1 ვიტ ჯორჯია

ოლიმპი 1:5 ბორჯომი

ივერია 1:0 რუსთავი

კახეთი 2:0 ცხინვალი

დღეს

ლოკომოტივი 2 — გურია

დინამო 2 — საგარეჯო

ბორჯომი	14	12	1	1	42:16	37
ამერი	14	10	1	3	41:7	31
ვიტ ჯორჯია	14	9	3	2	23:7	30
სპარტაკი	14	8	6	0	27:14	30
კახეთი	14	9	1	4	26:20	28
დინამო 2	13	7	1	5	31:20	22
ივერია	14	5	5	4	14:15	20
ცხინვალი	14	5	3	6	19:20	18
ჩიხურა	14	5	2	7	14:18	17
ლოკომოტივი 2	13	4	3	6	16:19	15
გურია	12	4	2	6	10:18	14
მილანი-მერანი	13	4	1	8	18:25	13
ოლიმპი	14	3	3	8	14:24	12
რუსთავი	14	3	1	10	15:29	10
საგარეჯო	13	1	4	8	11:32	7
მაღაროელი	14	0	3	11	7:44	3

ინგლისი

პრემიერლიგა. XI ტური

ჩელსი 2:2 ბოლტონი

1:0 დაფი (1), 2:0 ტიაგუ (48), 2:1 დევისი (52), 2:2 ჯაიდი (87)

ჩელსი: პ. ჩეხი, პ. ფერეირა, რ. კარვალიუ, ტერი, გალასი, ტიაგუ, მაკელელე, ლამპარდი, დაფი, რობენი, გუდიონსენი

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

ბოლტონი: იასკელაინენი, ჰანტი, ნგოტი, ჯაიდი, რ. გარდნერი, ნოლანი (კამპო 59), სპიდი, ოკოჩა (იერო 75), დიუფი (იანაკოპულოსი 54), კ. დევისი, პედერსენი

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

მსაჯი: გალაპერი

42 203 მაყურებელი

არსენალი 1:1 ვესტ ბრომვიჩი

1:0 პირესი (54), 1:1 ერნშოუ (79)

არსენალი: ი. ლემანი, ლორენი, კ. ტურე, სიგანი, ეშლი კოული, ლიუნგბერგი, ვიეირა, ფაბრეგასი (რეიესი 81), პირესი, ანრი, ბერხკამპი (ვან პერსი 88)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

ვესტ ბრომვიჩი: ჰოულტი, შიმეკა, დ. მური, პარსი, კლემენტი, კონტრა (ერნშოუ 75), ჯ. გრინინგი, ენდი ჯონსონი, შაკირი (გაარდსო 84), გერა, კანუ (ჰორსფილდი 75)

მწვრთნელი: ბრაიან რობსონი

გაფრთხილება: გერა

მსაჯი: ვები

38 109 მაყურებელი

მანჩესტერ იუნ. 2:0 ჩარლტონი

1:0 გიგზი (41), 2:0 სქოულზი (50)

მანჩესტერ იუნ: კეროლი, ვ. ბრაუნი, რ. ფერდინანდი, მ. სილვესტრი, კ. ფორჩუნი, ფლეტჩერი (ოში 84), როი კინი (ფ. ნევილი 80), სქოულზი, გიგზი, ვან ნისტელროი (ა. სმიტი 75), რუნი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

ჩარლტონი: კაილი, იანგი, პერი (ჯ. ფორჩუნი 46), ელ კარკური, ჰრეიდარსონი, კიშიშევი, ჰოლანდი, მერფი, ტომა (კონჩესკი 57), ბარტლეტი (ჯეფერსი 75), ჯ. იოჰანსონი

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

მსაჯი: სტანლეი

67 704 მაყურებელი

მიდლსბრო 2:0 ლივერპული

1:0 რიგოტი (36), 2:0 ზენდენი (62)

მიდლსბრო: შვარცერი, მაკმაჰონი, რიგოტი, საუთგეიტი, კეტრუ, პარლოუ, ბოატენგი, ზენდენი (ნემეტი 89), დოუნინგი, ვიდუკა, ჰასელბაინკი (უობი 86)

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

ლივერპული: კირკლანდი, ხოსემი (სინამა-პონგოლე 70), კარაგერი, ჰიიპია, ჯ. ტრაორე, ფინანი, ჰამანი (ჯერარდი 56), ხაბი ალონსო (ბიშკანი 83), რიისე, ლუის გარსია, კიუელი

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაფრთხილება: ზენდენი, საუთგეიტი, ბოატენგი, ჰიიპია, ხოსემი

მსაჯი: ბენეტი

34 751 მაყურებელი

კრ. პალასი 0:2 ნიუკასლი

0:1 კლუივერტი (79), 0:2 ბელამი (88)

კრ. პალასი: კირალი, ბოისი, ჰალი, პოპოვიჩი, გრენვილი, რუტლეჯი, ბ. უოტსონი, რიიჰილაპტი (ფრიდმანი 84), კოლკა (ლაკისი 83), მ. ჰიუზი, ენდრიუ ჯონსონი

მწვრთნელი: იან დიუვი

ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი, ბრამბლი, იონსენი (რ. ელიოტი 56), ბერნარი, კ. დაიერი, ბოიერი (მილნერი 72), ჯენსენი, რობერი, კლუივერტი, ბელამი

სად იქნებით ახალ წელს?

მწვრთნელი: გრეგ სუნესი

გაფრთხილება: გრენვილი, იონსენი, ბერნარი, ელიოტი

მსაჯი: ჰალსი

22 937 მაყურებელი

ევერტონი 1:0 ფულემი

1:0 ფერგიუსონი (67)

ევერტონი: მარტინი, ჰიბერტი, სტაბსი, ვეირი, პისტონე, ოსმანი (დ. ფერგიუსონი 62), გრავესენი (მაკფადენი 88), კარსლი, ჩეჰილი, კილბეინი, მ. ბენტი (ს. უოტსონი 83)

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

ფულემი: კროსლი, ვოლეი, ნაითი, რეიმანი, ბოკანეგრა, რაძინსკი, დიოპი (მაკბრაიდი 81), მალბრანკი, ჰემბრიჯი, ბოა მორტე (ლეგვინსკი 54), კ. კოული

მწვრთნელი: კრის კოულმენი

გაფრთხილება: დიოპი

მსაჯი: პოლი

34 763 მაყურებელი

პორტსმუთი 1:3 მანჩესტერ სიტი

0:1 რაიტ-ფილიპსი (6), 1:1 ონილი (8), 1:2 სიბიერსკი (79), 1:3 ბოსველტი (87)

პორტსმუთი: ეშდოუნი, პრიმუსი (გრიფინი 85), დე ზეუვი, სტეფანოვიჩი, ანსუორთი, ონილი, ქვოში, ფეიე, ბერგერი (მეთიუ ტეილორი 74), ლუა ლუა (ბერკოვიჩი 26), ფულერი

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

მანჩესტერ სიტი: ჯეიმსი, ონუა, რ. დანი, დისტონი, ჯორდანი, რაიტ-ფილიპსი, ბოსველტი, ჯ. ბარტონი, სიბიერსკი, მაკენი, ანელკა (ფაულერი 27)

მწვრთნელი: კევინ კიგანი

გაფრთხილება: ფეიე, ანსუორთი, დე ზეუვი

მსაჯი: მესაიასი

20 101 მაყურებელი

ნორვიჩი 2:1 საუთჰემპტონი

0:1 ბიტი (24), 1:1, 2:1 ფრენსისი (28, 52)

ნორვიჩი: რ. გრინი, ედვორთი, ფლემინგი, ჩარლტონი, დრური, ბენტლი, მალრინი, ფრენსისი, ჰაკერბი, მაკენზი, მ. სვენსონი

მწვრთნელი: ნაიჯელ უორზინგტონი

საუთჰემპტონი: კ. კელერი, დოდი (კრუჩი 83), ლუნდეკვამი, კენტონი, ლე სო, ფ. ფერნანდესი, დელაპი, ტელფერი (ნილსონი 72), ა. სვენსონი, ბიტი, ბლეკსტოკი (ფილიპსი 60)

მწვრთნელი: სტივ უიგლი

გაფრთხილება: ბენტლი, კენტონი

მსაჯი: რაილი

23 706 მაყურებელი

ბლეკბერნი 3:3 ბირმინგემი

1:0 იანსენი (4), 1:1 ანდერტონი (17), 1:2 სევიჯი (38), 1:3 დანი (45), 2:3 რიდი (57), 3:3 გალაპერი (63)

ბლეკბერნი: ფრიდელი, ნ. იოჰანსონი, მაკიველი, ნაილი, ტოდი, ემერტონი, ბ. ფერგიუსონი, ს. რიდი, თუგაი (დ. ტომპსონი 56), დიკოვი, მ. იანსენი (პ. გალაპერი 46)

მწვრთნელი: მარკ ჰიუზი

ბირმინგემი: მაიკ ტეილორი, აპსონი, კანინგემი, მელხიოტი, ანდერტონი (ორკი 74), დ. დანი (კლემენსი (80), ჯ. გრეი, გრონკიაერი, დემიენ ჯონსონი, სევიჯი, მორისონი (კლეპამი 65)

მწვრთნელი: სტივ ბრიუსი

გაფრთხილება: ჯონსონი, ფერგიუსონი

მსაჯი: ბერი

20 290 მაყურებელი

ასტონ ვილა — ტოტენჰემი

დღეს გაიმართება

რაღაც ხდება პრემიერლიგის ცხრილის სათავეში. შაბათს „არსენალს“ შეეძლო კვლავ ლიდერი შექმნილიყო, მაგრამ ეს ვერ მოახერხა და ვესტბრომვიჩელი რობ ერნშოუს გოლით კვლავ დარჩა მეორეზე: „მეთოფეები“ შინ ფრეს დასჯერდნენ „ვესტ ბრომვიჩთან“, რომელსაც ჯერჯერობით საერთოდ არ მოუგია გასვლაზე.

ერნშოუ რომ არა, „ჩელსი“ ლიდერობას დაკარგავდა, რადგან ორბურთიანი უპირატესობა გაუქრა წინ „სტემფორდ ბრიჯზე“ „ბოლტონთან“ მატჩში. „ჩელსი“ პირველივე წუთიდან კომფორტულად იგებდა დემიენ დაფის გოლით, რასაც ტიაგომაც მიაყოლა კიდევ ერთი. მერე მასპინძელთა მეკარე ჩეხი შეცდა, რაც კევინ დევისმა გამოიყენა. შეხვედრის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე კი, ბოლტონელთა მცველმა რაჰდი ჯაიდიმ მეორე საპასუხო ჩააჭედა მასპინძელთა კარში. გოლიათმა ტუნისელმა ძალიან წაუხდინა ხასიათი ჟოზე მაურინიუს და მენეჯერიც „ბოლტონის“ იერის ღვარძლგარეულ გარჩევას მოჰყვა: „არა მგონია, ბოლტონელთა თამაში ბევრს მოსწონდეს. მეც არ მომწონს, მაგრამ ძალიან ძნელად სათამაშო გუნდია, ბურთი ჰაერში ურჩევნიათ და ამ ბურთისთვის ძალიან კარგად იბრძვიან“.

„მეთოფეებს“ რომ მივუბრუნდეთ, მათ, რა თქმა უნდა, მოგება შეეძლოთ და თითქოს ასეც ჩანდა, მაგრამ ერნშოუ ისე მოხდენილად შეძვრა ორ მცველს შორის, რათა ჯონათან გრინინგის კროსისთვის მიესწრო, რომ მასპინძლები ხახამშრალნი დარჩნენ. ესეც არ იყოს, რობერ პირესმა იღბალა გოლით დააწინაურა „არსენალი“ — დარტყმული ხელებშუა გაუძვრა სტუმართა შეკარე რასელ ჰოულტს. მაურინიუსი არ იყოს, არსენ ვენგერიც უხასიათოდ იყო: „ბოლო ორი საშინაო თამაშიდან ვერცერთი ვერ მოვიგეთ. გოლი არ უნდა გაგვეშვა, მოწაფეების დონის გოლი იყო“. მისი კოლეგა ბრაიან რობსონი კი, ცხადია, ხარობდა: მეორედ გაუძღვა გუნდს როგორც ბოსი და „ჰაიბერიდან“ ქულა წაიღო.

„არსენალი“ 2 ქულითაა ჩამორჩება „ჩელსის“, „არსენალს“ კი 2 ქულითა ჩამორჩება „ევერტონი“, რომელმაც შინ მანც გატეხა „ფულემი“ და გატეხა შეცვლაზე შესული უბერებელი სქოთის, დანკან ფერგიუსონის თავურით. ლონდონელთა მეკარე მარკ კროსლი კი ნამდვილი გმირი იყო. „გუდისონ პარკზე“ ბევრს უსტვენდნენ ყოფილ ევერტონელ ტომაშ რაძინსკის, რომელსაც ჰქონდა კიდეც საუკეთესო შანსი, თუმც ნიჯელ მარტინმა არ გაუშვა.

„მიდლსბრომ“ მერვე ადგილზე ჩააგდო „ლივერპული“, თუმც კი ამ უკანასკნელს სტივენ ჯერარდი დაუბრუნდა. რაფა ბენიტესმა მაშინ შეიყვანა მინდორზე სტივი, როცა „ბორო“ უკვე იგებდა კრის რიგოტის გოლით. თუმცა, სულ მალე, ბუდევინ ზენდენმა მოკლა თამაში. არ დაივიწყოთ, მან ბოლო 6 თამაშში მეექვსედ გაიტანა, „მიდლსბრო“ კი მეოთხე ადგილზეა.

მოიგო მანჩესტერის ორივე გუნდმა. „სიტიმ“ პორტსმუთში იმარჯვა და ვარსკვლავად კვლავ შონ რაიტ-ფილიპსი ჰყავდა. ისე კი, „სიტიმ“ ბოლო 10 წუთში გატეხა მასპინძლები, „პორტსმუთმა“ კი ზედიზედ მესამედ წააგო, რაც კვლავ აძლიერებს ლაპარაკებს იმის თაობაზე, რომ ჰარი რედნაპს მენეჯერობიდან დაითხოვენ და ის იგივე თანამდებობაზე გადავა „ვულვერჰემპტონში“.

რაც პრემიერლიგა არსებობს, „ჩარლტონს“ „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ არ მოუგია. ახლაც ასე იყო. რაიან გიგზის და ჰოლ სქოულზის გოლებმა თამაშში ყველაფერი გაარკვია. სქოულზის გოლი განსაკუთრებით ლამაზი იყო: დარენ ფლეტჩერის ჩაწოდებულს სქოულზი ჰაერშივე, ნახევრადწაწოლილი შეეგება ცაციათი. სერ ალექს ფერგიუსონმა კი თქვა: „ახლა წინსვლის, დაქოქვის დროა. თუ დეკემბერს მაგრად გავივლით, ნახავთ, ახალ წელს სადაც ვიქნებით“.

ირაკლი გამყრელიძე

REUTERS ლონდონიდან

რობერ პირესის ამ დარტყმას გოლი მოჰყვა

	სულ							შინ							სტუმრად						
№	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ჩელსი	14	10	3	1	23:6	17	33	7	5	2	0	11:3	8	17	7	5	1	1	12:3	9	16
2 არსენალი	14	9	4	1	38:18	20	31	7	4	3	0	20:9	11	15	7	5	1	1	18:9	9	16
3 ევერტონი	14	9	2	3	16:11	5	29	7	4	1	2	7:7	0	13	7	5	1	1	9:4	5	16
4 მიდლსბრო	14	7	4	3	24:16	8	25	7	3	3	1	10:7	3	12	7	4	1	2	14:9	5	13
5 მანჩესტერი	14	6	6	2	16:10	6	24	7	4	3	0	9:3	6	15	7	2	3	2	7:7	0	9
6 ბოლტონი	14	6	5	3	22:18	4	23	7	4	2	1	12:7	5	14	7	2	3	2	10:11	-1	9
7 ასტონ ვილა	13	5	6	2	19:14	5	21	6	4	2	0	12:3	9	14	7	1	4	2	7:11	-4	7
8 ლივერპული	13	6	2	5	21:15	6	20	6	5	0	1	13:4	9	15	7	1	2	4	8:11	-3	5
9 ნიუკასლი	14	5	4	5	26:26	0	19	7	3	1	3	14:14	0	10	7	2	3	2	12:12	0	9
10 ჩარლტონი	14	5	3	6	17:23	-6	18	7	4	2	1	12:4	8	14	7	1	1	5	5:19	-14	4
11 სიტი	14	4	5	5	17:14	3	17	7	2	3	2	8:5	3	9	7	2	2	3	9:9	0	8
12 პორტსმუთი	13	4	3	6	17:20	-3	15	7	4	1	2	12:9	3	13	6	0	2	4	5:11	-6	2
13 ფულემი	14	4	2	8	17:25	-8	14	7	3	0	4	8:13	-5	9	7	1	2	4	9:12	-3	5
14 ბირმინგემი	14	2	7	5	11:14	-3	13	7	1	3	3	4:6	-2	6	7	1	4	2	7:8	-1	7
15 ტოტენჰემი	13	3	4	6	12:16	-4	13	7	1	2	4	9:12	-3	5	6	2	2	2	3:4	-1	8
16 კრ. პალასი	14	3	3	8	15:21	-6	12	7	2	1	4	8:10	-2	7	7	1	2	4	7:11	-4	5
17 საუთჰემპტონი	14	2	5	7	13:19	-6	11	7	2	3	2	9:9	0	9	7	0	2	5	4:10	-6	2
18 ნორვიჩი	14	1	8	5	13:24	-11	11	7	1	4	2	9:12	-3	7	7	0	4	3	4:12	-8	4
19 ვესტ ბრომვიჩი	14	1	7	6	13:25	-12	10	7	1	4	2	7:10	-3	7	7	0	3	4	6:15	-9	3
20 ბლეკბერნი	14	1	7	6	14:29	-15	10	7	1	5	1	10:13	-3	8	7	0	2	5	4:16	-12	2

ბომბარდირები

ანრი (არსენალი)	11
ენდრიუ ჯონსონი (კრ. პალასი)	8
პირესი (არსენალი)	8
ბაროში (ლივერპული)	7

XV ტური

27-28 ნოემბერი

ფულემი	:	ბლეკბერნი
ბირმინგემი	:	ნორვიჩი
ვესტ ბრომვიჩი	:	მანჩესტერი
ბოლტონი	:	პორტსმუთი
ჩარლტონი	:	ჩელსი
სიტი	:	ასტონ ვილა
საუთჰემპტონი	:	კრ. პალასი
ტოტენჰემი	:	მიდლსბრო
ნიუკასლი	:	ევერტონი
ლივერპული	:	არსენალი

ჩემპიონატი

XX ტური

ბრაიტონი 0:1 ბარნლი

0:1 ბლეჭერი (70)

ქრიუ 4:1 ჯილინგემი

1:0 ჯეგანი (35), 2:0 უოტსონი (71), 2:1 ჯენდერსონი (73), 3:1 უოტსონი (80), 4:1 ჯონსონი (89)

დერბი ქაუნთი 0:1 შეფილდ იუნ.

0:1 ქუინი (61)

ლიდსი 6:1 ქუინზ პარკი

0:1 ეინსვორთი (2), 1:1 ჰილი (9), 2:1 დინი (13), 3:1 რაიტ (23), 4:1, 5:1, 6:1 დინი (42, 44, 72)

ნოტინგემი 1:0 რედინგი

1:0 ტეილორი (26)

პლიმუთი 0:0 სტოკი

უოტფორდი 0:0 როტერჰემი

უიგანი 0:0 ლესტერი

ვულვზი 0:1 ქოვენთრი

0:1 მაკშეფრი (61)

კარდიფი 0:1 პრესტონი

0:1 მავენი (14)

მილუოლი 1:0 ვესტ ჰემი

1:0 დიჩიო (78)

სანდერლენდი 2:0 იფსვიჩი

1:0 ს. ელიოტი (60), 2:0 კ. ბრაუნი (75)

უიგანი	20	11	7	2	35:14	40
იფსვიჩი	20	11	6	3	39:23	39
სანდერლენდი	20	11	4	5	28:15	37
რედინგი	20	11	4	5	28:17	37
ქუინზ პარკი	20	10	3	7	30:29	33
ვესტ ჰემი	20	9	4	7	23:22	31
შეფილდი	20	8	7	5	23:24	31
დერბი	20	8	5	7	29:25	29
მილუოლი	18	8	5	5	18:15	29
სტოკი	20	7	7	6	15:16	28
უოტფორდი	19	6	9	4	24:18	27
ბარნლი	20	6	9	5	17:18	27
პლიმუთი	20	7	5	8	26:26	26
პრესტონი	20	7	5	8	25:28	26
ლესტერი	20	5	10	5	22:19	25
ქოვენთრი	20	6	7	7	26:32	25
ლიდსი	19	6	6	7	22:18	24
ვულვზი	19	6	5	8	23:25	23
ქრიუ	19	6	4	9	34:39	22
ბრაიტონი	20	6	4	10	16:28	22
კარდიფი	20	4	7	9	21:27	19
ნოტინგემი	20	3	8	9	19:28	17
ჯილინგემი	20	4	3	13	16:36	15
როტერჰემი	20	0	8	12	12:29	8

პირველი ლიგა

XVIII ტური

დონსი — ლუტონი 1:4; ბლეკპული — ტრანმერი 0:1; ბორნმუთი — ჩესტერფილდი 0:0; ბრენტფორდი — ბრედფორდი 1:2; კოლჩესტერი — პადერსფილდი 0:0; დონკასტერი — სტოკპორტი 3:1; ოლდემი — ბარნსლი 3:2; პორტ ვეილი — ტორკი 1:2; შეფილდ უენსდი — ჰარტლპული 2:0; სუინდონი — ჰალი 4:2; უოლსოლი — პიტერბრო 2:1; რეჭფორდი — ბრისტოლი 1:3

მეორე ლიგა

XVIII ტური

ნორთჰემპტონი — ჩესტერი 1:1; ბოსტონი — მენსფილდი 0:0; როუერსი — სკანთორპი 0:3; ბერი — ნოტსი 1:0; კემბრიჯი — რაშდენი 3:1; დარლინგტონი — ლინკოლნი 0:3; გრიმსბი — კიდერმინსტერი 2:1; ლეიტონი — უიკომბი 1:2; მაკლსფილდი — ჩელტენემი 0:2; ოქსფორდი — როზდეილი 0:1; შრიუსბერი — სუონსი 2:0; იოვილი — საუთენდი 3:1

კონფერენსლიგა

XVII ტური

ბარნეტი — აკრინგტონი 3:0; ქონვი — ჰერეფორდი 0:4; კარლაილი — დაგენემი 1:0; ექსეტერი — ლეი 5:1; ფარნბორო — ნორსიჩი 0:2; ფორეტტ გრინი — ბარტონი 3:2; ჰალიფაქსი — ალდერშოტი 2:0; მორეკემბი — ქროული 1:2; სკარბორო — სტივენეიჯი 3:3; ტემუორთი — გრეიუსენდი 2:1; უოქინგი — იორკი 1:0

ჰენი ფეხის ზომა

გერერო ასევე მოიხსენიეს

პაულო გერერო ოლივერ კანმაც შეაქო

ხოსე პაულო გერეროზე ახლა იმასაც წერენ, რომ მისი ფეხის ზომა 42-ია. ასე იცის დამსახურებამ — ოცი წლის პერუელმა თავისი მეოთხე ბუნდესლიგური გოლი გაიტანა, თანაც ოთხივე შეცვლაზე შესულმა. გერეროს ბაიერნულ პროფაილს თუ ვერწმუნებით, ის მხიარული და თავნება ბიჭია, ვინც საკუთარ თავზე ამბობს, მებრძოლი ვარო.

ფეხის ზომა გერერომ „კაიზერსლაუტერნსაც" დაანახა, თუმც მანამდე ბავარიელები 2:1-ს იგებდნენ. მატჩი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მორიგი დეპრესიის შემდეგ პირველად ითამაშა სებასტიან დაისლერმა. ნამატჩევს კი პენალტი ფელიქს მაგათი მეტწილად ბუზღუნებდა: „მატჩის დასაწყისში სათანადოდ კონცენტრირებულნი არ ვიყავით, არასტაბილურად ვითამაშეთ დაცვაში და ძალიან ბევრი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ".

ისიც არ უნდა იყოს პატარა ამბავი, რომ „ბაიერნი" 2002-03 წლების სეზონის შემდეგ ბუნდესლიგური ცხრილის პირველ ადგილზე აქამდე არ წამოსკუპებულა.

ლევერკუზენში ჩინებულად ითამაშა „შალკემ" და მისმა ბრაზილიელმა შემტევმა აილტონმა. მან ჯერ ებე სანდს გაატანინა, შემდეგ თავად იხეირა ლინკოლნის პასით. წერტილიც ბრაზილიელის იყო — ლინკოლნმა საჯარიმო დარტყმით მესამედ დაამწუხრა მასპინძლები — „ლევერკუზენს" ახლა მადრიდი და „რეალი" ელის ჩემპიონთა ლიგაში და ასეთი თამაშით კიდევ ერთ გამათრახებას ნამდვილად ვერ ასცდება. „შალკემ" კი დაგვანახა, რომ წინა ტურში შინ „ჰერტასგან" მარცხი ბევრი არფრისმთქმელი იყო.

კვლავ წააგო ცქიტიშვილ-იაშვილის „ფრაიბურგმა" და გასავარდნ ზონაში მყარად მოიკიდა ფეხი, ხოლო „დორტმუნდი" ამ მოგებით უფსკრულს ექვსი ქულით ასცდა. ვესტფალიელები მარკუს ბრზენკას თავურით დაწინაურდნენ, რომელმაც ნაკუთხურალ ბურთზე იყო-ჩაღა. მეორე გოლი აჰმედ მადუნიმ შეაგდო — ნიკლას იენსენის ჩაწოდებულს მადუნიმ თავი დაჰკრა, რიხარდ გოლცმა ბურთი მოიგერია, მაგრამ მადუნიმ დამატებაზე მაინც გაიტანა.

ბევრს ეგონა, რომ „ჰანზა" ბერლინში წააგებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ახალი მწვრთნელის, იორგ ბერგერის ხელში როსტოკელებმა კინაღამ პირველად მოიგეს — მარკუს ლანცმა რიკოშეტის წყალობით შეაგდო და „ჰანზა" დაწინაურდა. „ჰერტას" თამაშის გადარჩენა ძალიან გაუჭირდა — მარსელინიმ კარგა მოზრდილი მანძილიდან შეაწყვიტა ბურთი „ჰანზას" კარს და ფრეთი „ჰერტაც" კმაყოფილი უნდა იყოს.

ჩემპიონმა ბილეფელდში წააგო, რაც მეტწილად არმინიელ ბაკლის ჩინებული თამაშის ბრალია. მატჩის მიწურულს „ვერდერი" მძლავრად კი ათამაშდა, თითქოს საცაა შემოაბრუნებს თამაშსო, მაგრამ, როცა „მუსიკოსებს" ნელსონ ვალდესი გაუგდეს, ყველაფერი მაშინ დამთავრდა.

„მაინცი" — „ბოხუმი" დიდი ვერაფერი თამაში იყო, მაგრამ „მაინცმა" მაინც მოიგო, რასაც ანტონიო და სილვას ძალიან მოხდენილ ცაციას უნდა უმადლოდეს.

ამ დრთისთვის ბუნდესლიგაში საუკეთესო ფეხბურთელი ალექსანდრ გლებია — ეს „სარბიელს" ალექსანდრე იაშვილმაც უთხრა და „შტუტგარტმა" „ვლადბახს" რომ მოუგო, გლების ფეხი ამაშიც ერია — კევინ კურანმ სწორედ გლების პასით გაიტანა.

დავით თავართქილაძე

გერმანია

ბუნდესლიგა. XIV ტური

ლევერკუზენი 0:3 შალკე

0:1 სანდი (27), 0:2 აილტონი (37), 0:3 ლინკოლნი (71)

ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ბ. შნაიდერი, ჟუანი, როკე ჟუნიორი, პლასენტე (ბაბიჩი 62), რამელო, ფრაიერი (ოზტიურკი 79), პონტე, კრეინოვეკი, ბერბატოვი, ვორონინი

მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი

შალკე: ფ. როსტი, კლასენერი, ბორდონი, კრსტაიჩი, პანდერი (ჰამიტ ალტინტოპი 79), ვერმანტი, კობიაშვილი, ლინკოლნი (კ. პოულსენი 79), ასამოა, სანდი (ჰანკე 86), აილტონი

სუპერლიგა. XI ტური

პორტუ 0:1 ბოავიშტა
0:1 კაფუ (90)

ბეირა მარი 2:2 სპორტინგი
1:0 კინგსლი (35), 1:1, 1:2 დუალა (40, 53), 2:2 ეიტორი (90)

ნასიონალი 1:1 მარიტიმუ
0:1 მანდუკა (46), 1:1 ავალოსი (50)

გიმარაეში 1:1 ლეირია
1:0 დრაგონერი (31), 1:1 კაიკო (64)

ბრაგა 2:0 ეშტორილი
1:0 ჟოაუ ალვეში (13), 2:0 სისერო (87)

მორეირენსე 2:2 პენაფიელი
0:1 ვესლი (3), 0:2 აგიარი (19), 1:2 ლიტო (24), 2:2 ა. მარტინში (28)

ჟილ ვისენტე 2:1 სეტუბალი
1:0 ნანდინიო (18), 1:1 ჟოზე მანუელი (49), 2:1 ნანდინიო (59)

ბენფიკა 3:3 რიუ ავე
1:0, 2:0 სიმაო (3, 22), 2:1 ფრანკო (25), 3:1 შოკოტა (30), 3:2 სეზარი (60), 3:3 ჟაკე (81)

აკადემიკა — ბელენენსეში
დღეს გაიმართება

პორტუ	11	6	4	1	18:7	22
ბენფიკა	11	6	4	1	17:8	22
სეტუბალი	11	6	2	3	17:14	20
ბოავიშტა	11	6	2	3	13:12	20
ბრაგა	11	5	4	2	15:10	19
მარიტიმუ	11	5	4	2	14:10	19
სპორტინგი	11	5	3	3	22:14	18
ბელენენსეში	10	4	2	4	19:16	14
რიუ ავე	11	2	8	1	11:11	14
ლეირია	11	3	5	3	12:13	14
ეშტორილი	11	3	3	5	14:16	12
ნასიონალი	11	3	3	5	13:15	12
პენაფიელი	11	3	2	6	12:24	11
გიმარაეში	11	2	4	5	8:11	10
აკადემიკა	10	3	1	6	9:13	10
ბეირა მარი	11	2	4	5	15:22	10
ჟილ ვისენტე	11	2	2	7	10:15	8
მორეირენსე	11	1	5	5	9:17	8

II დივიზიონი. XI ტური

ლეიშოეში — ფეირენსე 3:1; მარკუ — ფერეირა 1:1; შავეში — სანტა კლარა 0:0; ალვერკა — ოვაირენსე 0:2; ესპინიუ — ოლიალენსე 1:0; ვარზიმი — გონდომარი 2:2; პორტიმონენსე — ამადორა 1:1; ფელგეირაში — ავეში 2:3; მაია — ნავალი 1:1

მაია	11	7	3	1	14:5	24
ამადორა	11	6	3	2	17:8	21
ოვაირენსე	11	6	3	2	20:14	21
ნავალი	11	5	4	2	13:8	19
ავეში	11	6	0	5	16:10	18
ლეიშოეში	11	5	3	3	14:10	18
მარკუ	11	4	6	1	16:13	18
ფეერეირა	11	4	5	2	14:10	17
ოლიალენსე	11	5	2	4	13:14	17
ალვერკა	11	4	1	6	6:9	13
ვარზიმი	11	3	4	4	10:15	13
პორტიმონენსე	11	3	3	5	13:13	12
ესპინიუ	11	3	3	5	12:16	12
ფეერენსე	11	3	2	6	10:18	11
გონდომარი	11	2	4	5	10:14	10
ფელგეირაში	11	2	3	6	9:13	9
შავეში	11	2	3	6	4:12	9
სანტა კლარა	11	2	2	7	10:19	8

თურქეთი

სუპერლიგა. XIII ტური

ანკარა — კონია 1:3, გალათასარაი — მალათია 1:1, საკარია — სამსუნი 4:2, ტრაბზონი — ფენერბაჰჩე 0:2, დენიზლი — ქაისერი 2:1, გაზიანთეფი — ისთანბული 0:1, ეგეზლერი — სივასი 1:1, დიარბაქირი — ანკარაგიუჯუ 0:1, ბურსაში — რიზე 2:2.

ფენერბაჰჩე	13	11	1	1	31:8	34
ტრაბზონი	13	9	2	2	26:10	29
გალათასარაი	13	9	2	2	25:10	29
დენიზლი	13	8	1	4	19:15	25
რიზე	13	6	4	3	17:9	22
მალათია	13	6	3	4	22:15	21
გენჩლერი	13	5	4	4	17:16	19
გაზიანთეფი	13	5	3	5	16:15	18
კონია	13	4	6	3	24:25	18
ბურსაში	13	4	5	4	26:20	17
სამსუნი	13	4	3	6	20:23	15
ანკარა	13	4	3	6	17:20	15
დიარბაქირი	13	4	3	6	12:19	15
ანკარაგიუჯუ	13	4	3	6	9:16	15
ისთანბული	13	2	4	7	10:21	10
ქაისერი	13	2	2	9	13:27	8
საკარია	13	2	1	10	11:29	7
სივასი	13	0	6	7	13:30	6

ირლანდია

პრემიერლიგა. XXXVI ტური

კორკ სიტი — ბოჰემიანსი 1:1; სენტ პატრიკსი — შელბურნი 0:0; უოტერფორდი — დერი სიტი 1:0; დუბლინი — შემროკი 1:2. ლონგფორდი — დროჰედა დღეს ეკაიმართება

ბელგია

თასის მეთექვსმეტეფინალი

ოსტენდე — ლიერსი 2:4 (პენალტი 4:5), ანტვერპენი — ბეჭერენი 0:1, ტუბიცე — პატრო 4:1, ვინცენზე — ბრუგე 1:2 (პენალტი 4:5), ბრუგეზი — ვაროენგემი 3:0, ლიერსე — დენდერშუტერი 2:0, გენტი — ჯერმტ-ჰასელტი 5:0, ეუპენი — ვესტერლო 4:2, ლოკერენი — დაინცე 4:1, მონსი — დენდერლეუ 2:1 დდ.(1:1), სარიმონი — მუსკრონი 0:1, ოლიმპიკი — სერკლ ბრიუგე 1:1 დდ.(პენ.3:1, 1:1), აალსტი — ბრიუგე 0:3, ბოშოლტი — ანდერლეხტი 2:3, ტონგერენი — ბეერსბოტი 0:2, გენტი — ბრიუსელი 2:1 დ.დ.(1:1)

II კლასი. გადადებული მატჩები

დესელი — რონსი 0:0; ვიგორი — ჰეუსდენი 2:2

ვარეგემი	14	10	3	1	33:16	33
ანტვერპენი	14	9	2	3	24:14	29
გეელი	14	9	1	4	28:17	28
ვაასლანდი	14	8	3	3	24:15	27
რონსი	14	8	3	3	19:12	27
ტუბიცე	14	6	3	5	26:21	21
რუზელარე	14	6	3	5	19:14	21
ჰეუსდენი	15	5	5	5	18:17	20
პატრო	14	5	4	5	17:22	19
ვირტონი	14	4	6	4	17:19	18
დაინცე	14	5	3	6	21:29	18
აალსტი	14	4	5	5	17:21	17
ვიგორი	15	3	6	6	16:21	15
კორტრაიკი	14	4	2	8	21:24	14
ეუპენი	14	3	5	6	22:26	14
დესელი	14	3	5	6	13:19	14
სენტ ჟილი	14	2	3	9	10:22	9
ვისეტი	14	0	4	10	9:25	4

უკრაინა

თასის მეოთხედფინალი

საპასუხო მატჩები

ტავრია 0:4 შახტარი (0:3)
დნიპრო 2:2 ნეფტიანიკი (2:0)
კრივბასი 2:0 ნივა (1:2)
დინამო 4:0 ვოლინი (2:1)

უნგრეთი

ბორსოდი ლიგა. XIV ტური

კაბოშვარი — ბეკეშაბა 1:2; მტკ — ნირედიჰაზა 3:0; ვიდეოტონი — ვაშაკი 1:0; დიოშდიორი — შიპრონი 1:0; ჰონვედი — ტატაბანია 3:2; პეჩი — დებრეცენი 1:1; ზალაეგერსეგი — ფერენცვაროში 1:5; დიორ ეტო — უიპეშტი 1:1

შვეიცარია

თასის მერვედფინალი

ბოლმი — აარუ 0:2; კიასო — ივერდონი 1:0; სიონი — ანგ ბოისი 1:2; თუნი — ბაზელი 1:1 დ.დ.(პენ.4:3, 1:1); ოუჯენუსი — ბელინზონა 0:2; ლუცერნი — კონკორდია 4:1; ქალაქი — ციურიხი 0:2; შაფჰაუზენი — სენტ გალენი 2:2 დ.დ.(პენ.3:5, 1:1)

დანია

სუპერლიგა. XVII ტური

ოდენსე — ჰერფოლგე 2:0; მიდტიულანდი — ესბიერგი 4:3; კოპენჰაგენი — ოლბორგი 4:0; ბრონდბიუ — ორჰუსი 4:0. რანდერსი — ვიბორგი და სილკებორგი — ნორდსელანდი გადადო

ბრონდბიუ	17	12	4	1	29:9	40
მიდტიულანდი	17	9	3	5	27:23	30
ოდენსე	17	9	2	6	41:22	29
ვიბორგი	16	7	5	4	17:13	26
ორჰუსი	17	7	5	5	30:28	26
კოპენჰაგენი	17	7	5	5	28:26	26
ოლბორგი	17	7	3	7	27:24	24
ესბიერგი	17	6	4	7	34:30	22
სილკებორგი	16	4	3	9	23:31	15
ჰერფიოლგე	17	4	2	11	14:36	14
რანდერსი	16	3	4	9	17:30	13
ნორდსელანდი	16	3	4	9	18:33	13

რუსეთი 2004-2005

A ჯგუფი. II ტური

ვოლეერენგა (ნორვეგია) 3:2 რუსენბორგი (ნორვეგია)

B ჯგუფი. II ტური

ტრომსიო (ნორვეგია) 0:1 გიოტებორგი (შვედეთი)

C ჯგუფი. II ტური

ჰალმსტადი (შვედეთი) 3:1 მალმიო (შვედეთი)

სლოვაკეთი

I ლიგა. XIII ტური

დუბნიცა — სობოტა 2:0; ინტერი — ტრნავა 1:1; პუხოვი — ბანსკა ბისტრიცა 0:0; რუჟომბეროკი — პეტრჟალკა 1:1; ტრენჩინი — ჟილინა 4:2

პოლონეთი

პირველი ლიგა. XIII ტური

ლეხი — პოლონია 1:1; გურნიკი — კატოვიცე 4:1; ლეგია — პლოცკი 2:1; ოდრა — პოგონი 1:0; ზაგლებე — ლეჩნა 1:0; კრაკოვია — ამიცა 0:1; გროცლინი — ვისლა 2:4

ვისლა	13	11	2	0	44:8	35
ლეგია	13	8	3	2	20:11	27
გროცლინი	13	8	1	4	22:16	25
ამიცა	13	7	3	3	19:12	24
ზაგლებე	13	5	4	4	22:22	19
კრაკოვია	13	5	3	5	20:14	18
პოლონია	13	5	3	5	15:21	18
პლოცკი	13	5	2	6	17:20	17
პოგონი	13	4	3	6	19:27	15
გურნიკი	13	3	4	6	17:17	13
ოდრა	13	4	1	8	14:18	13
ლეჩნა	13	4	0	9	13:23	12
ლეხი	13	3	3	7	16:27	12
კატოვიცე	13	2	2	9	13:35	8

ავსტრია

მაქსბუნდესლიგა. XVIII ტური

აუსტრია — გრაცერი 0:0; მატერსბურგი — ბრეგენცი 5:2; შტურმი — ზალცბურგი 3:1; პაშინგი — ტიროლი 3:2; ადმირა — რაპიდი 1:0

რაპიდი	18	11	5	2	32:12	38
აუსტრია	18	10	6	2	37:10	36
პაშინგი	18	11	1	6	35:27	34
გრაცერი	18	9	4	5	20:14	31
ტიროლი	18	6	3	9	26:30	21
ადმირა	18	6	3	9	21:27	21
ზალცბურგი	18	5	5	8	22:25	20
მატერსბურგი	18	5	4	9	24:33	19
შტურმი	18	5	3	10	15:23	18
ბრეგენცი	18	3	4	11	19:50	13

სლოვენია

ნაციონალ ლიგა. XVI ტური

პულა — მედიმურიე 2:1; ზაგრები — კამენი 1:0; ჰაიდუკი — სლავენი 2:1; ინტერი — ზადარი 4:1; რიეკა — დინამო 4:2; ვარტექსი — ოსიეკი 4:0

ევროპის ერთა თასი. პირველი ტური

რუსეთი 15:27 საქართველო

20 ნოემბერი. კრასნოდარი. 14 საათი

რუსეთი		საქართველო
იგორ კლიუჩნიკოვი	15	მალხაზ ურჯუკაშვილი
იაროსლავ რეჩნიოვი	14	ბესიკ ხამაშურიძე
ვლადიმირ სიმონოვი	13	თედო ზიბზიბაძე
დენის აკულოვი	12	ირაკლი გიორგაძე
პაველ ნოვიკოვი	11	ირაკლი მაჩხანელი
ალექსანდრ კაზანცევი	10	დავით კიკნაძე
ვიქტორ მოტორინი	9	ირაკლი აბუსერიძე
ალექსეი პანასენკო	8	ბესიკ უდესიანი
მურატ უამბაევი	7	ზვიად მაისურაძე
ვიაჩესლავ გრაჩოვი	6	რატი ურუშაძე
ვიქტორ ფედჩენკო	5	ზურაბ მჭედლიშვილი
ალექსეი რეჩნიოვი	4	ილია ზედგინიძე (კაპ)
ალექსეი ტრავკინი	3	დავით ზერაქაშვილი
რომან რომაკი (კაპ)	2	გოდერძი შველიძე
ოლეგ შუკაილოვი	1	მამუკა მაგრაქველიძე

შეცვლაზე შევიდნენ

რუსეთი	საქართველო
ალექსანდრ იანიუშკინი	დავით ბოლღაშვილი
ალექსეი კორობეინიკოვი	დავით გასვიანი
დმიტრი ლოსკუტოვი	მამუკა გორგოძე
კირილ კუშნარიოვი	ოთარ ბარკალაია
ალექსანდრ ხროკინი	ლექსო გუგავა
რაშიდ საგდეევი	
2 ლელო: ი. რეჩნიოვი, კაზანცევი	4 ლელო: ხამაშურიძე, ზიბზიბაძე, მაჩხანელი, შველიძე
1 გარდასახვა: კაზანცევი	2 გარდასახვა: ურჯუკაშვილი, კიკნაძე
1 საჯარიმო: კაზანცევი	1 არეკანი: ბარკალაია
	სინბინი: ზიბზიბაძე

მსაჯი: ფრანკ მასიელო (საფრანგეთი)

დათვალეთ, დათვებო!
ლელო, კიდევ ლელო და, რა თქმა უნდა, საქართველო

ერთხელ, იმ ცუდად დავიწყებულ დროში, როცა 300-მილიონიან მახინჯ ქვეყანაში ვცხოვრობდით და რაგბის რეგბი ერქვა, ქუთაისის „აია" მონინოს ვვა-ს მასპინძლობდა. კარგად დაიწყეს ქუთაისელებმა, ჩვენებურთა დამრტყმელმა ნუგზარ ძაგნიძემ ერთი-ორი ლამაზი გოლი გაიტანა და ტრიბუნიდან ერთმა უწვერულმა ჯეელმა რუსთა ლიდერს შეუძახა — "Учись, Миронов!"

ამ შეძახილმა თუ გამოაფხიზლაო, რუსი ჯოჯოხეთურად ათამაშდა და მტერს და ავს...

მოკლედ, დიდი მოთამაშე იყო იგორ მირონოვი. საბედნიეროდ, მირონოვი ახლა მწვრთნელია და არა მოთამაშე. რუსეთის ნაკრების თავკაცის პოსტზე, დიდი ხანი არაა, ალექსანდრ პერვუხინი შეცვალა და მისდა ჭირად, პირველ მეტოქედ საქართველო ერგო. გუშინ ვნახეთ მისი დებიუტი, ჰოდა, მოდით, ახლა ამ მირონოვსაც და მის უკბილო და უხერხემლო „დათვებს" შევუძახოთ — "Россияне, учитесь играть в Рэгби!"

შეთამაშებულობაო, დაფინანსებაო, საკუთარი მოედანიო, კიდევ რა და რა. ამ ყველაფერს უპირატესობაში ვუთვლიდით ჩვენს მარადიულ მეტოქეს, ჩვენმა ბორჯღალოსნებმა კი აიღეს და კიდევ ერთხელ დასცეს „დათვები". რა შეთამაშება, რის უპირატესობა, არ იციან ჩვენზე უკეთ რაგბის თამაში და შეეკითხეთ ვისაც გინდათ.

მე-7 გამარჯვება მე-9 ჯახში! ჯახსაც ვერ დაარქმევ, ისე მოთელა საქართველოს ლამის განახევრებულმა ნაკრებმა მუდამ დაბრიყვებული მეტოქე. კრასნოდარში, იმ ქარიან და მოტიტვლებულ მოედანზე ბორჯღალოსნები იყვნენ რუსთა ბატონები და ოვალური ბურთის პატრონები პირველი წუთიდან 81-ეს ჩათვლით, მიუხედავად იმისა, რომ დამხვდურებმა ერთხელ დაწინაურება მოახერხეს. უშვებდნენ და უშვებდნენ რუსები ლელოებს. პირველივე წუთზე გუნდურ ლელოს რომ გადაგვირჩნენ, მეცხრეზე საკუთარ ნახევარზე ბურთი ხელიდან გაუვარდათ და ბესიკ ხამაშურიძის ხუთქულიანი მიიღეს. შემდეგ ზიბზიბაძე, მაჩხანელი, შველიძე... ირაკლი მაჩხანელმა მეორე ტაიმის პირველივე წუთზე კარაქივით გაჭრა რუსთა ხაზი და ლამის ცენტრიდან წაღებული ბურთი დაუდო. ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, ბორჯღალოსნებს როცა მოესურვებოდათ, მაშინ დაალელოვებდნენ მეტოქეს. სულ ბოლოს უწვერელმა სათადარიგო ბეკმა ოთარ ბარკალაიამ არეკნიც „აჩუქა" რუსებს.

ცხადია, თავის მოტყუება იქნება იმაზე ფიქრი, რომ ეს გუნდი საქართველოს იდეალური ნაკრებია და მომავალ წელს ბეჯით პორტუგალიასთან და ჯირკივით რუმინეთთანაც გაისეირნებს, მაგრამ შეკრებაგაუვლელმა და ხალხნაკლულმა ბორჯღალოსნებმა კრასნოდარში მართლაც გაისეირნეს. რუსებთან ურთიერთშეხვედრებში სარეკორდოა ჩვენი ოთხი ლელოც და 12-ქულიანი სხვაობაც.

მაგრამ რუსებმა თავიანთი თავად იდარდონ, ჩვენ კი გავიხაროთ — რუსთა ძლევით დავიწყეთ 2005 წლის ერთა თასი და 2007 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირი.

... ბოლმიანობაში ნუ ჩამოგვართმევთ, მაგრამ, მართლაც ძალიან უსუსური იყო რუსეთი...

ირაკლი ფირაშვილი

მალხაზ ჭეიშვილი: სად რუსეთი, სად პორტუგალია

რუსეთთან თამაშით საქართველოს ნაკრებმა წლევანდელი სეზონი დაასრულა. მომავალ საერთაშორისო მეტოქე პორტუგალიას კი თებერვალში ესტუმრება და სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი მატჩიც ალბათ ის იქნება. თასის მფლობელმა პორტუგალიელებმა მოგებით დაიწყეს, სტუმრად ერთა თასის დებიუტანტ უკრაინას აჯობეს, თან ცოტა უკეთესი სხვაობით, ვიდრე ჩვენ რუსეთს და გათამაშების ცხრილს სათავეში ჩაუდგნენ, თუმც ჯერ ცხრილზე ლაპარაკი ძალიან ადრეა. ბორჯღალოსანთა ერთ-ერთ თავკაც მალხაზ ჭეიშვილს კრასნოდარულ მატჩზე და ნაკრების სამომავლო გეგმებზე ვესაუბრეთ

— როგორ შეაფასებთ საქართველოს ნაკრების თამაშს?

— შედეგითაც და ბიჭების თამაშითაც კმაყოფილი ვარ. მოსამზადებლად მხოლოდ სამი დღე გვქონდა, მაგრამ მეტოქეს მაინც ყველაფრით ვაჯობეთ — ხელით, შერკინებაში, დერეფანში და მოლით თამაშისას. ამას დაემატა ის ჟინი, რომელიც რუსებთან თამაშისას მუდამ ჩანს ხოლმე.

— რუსეთისთვის ასე იოლად აქამდე არასოდეს მოგვიგია, ჩვენ გავძლიერდით თუ ისინი დასუსტდნენ?

— ჩვენი ნაკრების ძალაზე ლაპარაკს არ დავიწყებ, რადგან ერთი თამაშით დასკვნის გაკეთება ძნელია. ვცდილობთ, თანამედროვე რაგბი ვითამაშოთ და როგორ გამოგვივა, დროის საქმეა. რუსეთი კი აშკარად დასუსტებულია. ნაკრების თავკაცებმა შემადგენლობის გადახალისება გადაწყვიტეს, აქცენტს ახალგაზრდებზე აკეთებენ და ისე ძლიერად ველარ თამაშობენ, როგორც ადრე.

— განსაკუთრებით რომელ სათამაშო რგოლს გამოარჩევთ კრასნოდარული მატჩიდან?

— დავალება ყველამ შეასრულა და ამიტომ არ მინდა, რომელიმე გამოვარჩიო.

— ტრავმა ხომ არავინ მიიღო?

— ტრავმები იყო, თუმც მცირემცირე. საბედნიეროდ, სერიოზულად არავინ დაშავებულა.

— რუსები მასპინძლობით არასოდეს გამოირჩეოდნენ. ახლა როგორ იყო საქმე?

— ამჯერად არანაირი პრობლემა არ შეუქმნიათ, საკმაოდ კარგად გვიმასპინძლეს.

— კრასნოდარული მატჩის პარალელურად პორტუგალიამ უკრაინას მისსავე კედლებში სძლია. თქვენი აზრით, იგი რუსეთზე ძლიერია?

— პორტუგალიელები ულაპარაკოდ ძლიერები არიან. მათზე დასაკვირვებლად უკრაინაში გიორგი ჭუმბურიძე იმყოფებოდა. იგი თამაშის ვიდეოფირსაც ჩამოგვიტანს და მომავალ მეტოქეზე უფრო მეტს გავიგებთ.

— პორტუგალიას 5 თებერვალს ვსტუმრობთ. მანამდე ნაკრების ხეირიანი შეკრება თუ იგეგმება?

— საამმატჩოდ ალბათ ფრანგულ შეკრებას გავივლით. ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არაა, მაგრამ იმედია, ხელი არ შეგვეშლება. პორტუგალიის მერე კი 9 თებერვლიდან წესით, სამხრეთაფრიკული შეკრებაც უნდა მოეწყოს.

ოთარ მაღლაკელიძე

ერთა თასი 2004-05

უკრაინა 16:36 პორტუგალია

პორტუგალია	1	1	0	36:16	2
საქართველო	1	1	0	27:15	2
რუსეთი	1	0	1	15:27	0
უკრაინა	1	0	1	16:36	0
რუმინეთი	0	0	0	0:0	0
ჩეხეთი	0	0	0	0:0	0

27 ნოემბერი

ჩეხეთი — რუმინეთი

5 თებერვალი

პორტუგალია — საქართველო

ჩვენი მეტოქე

ტესტ-მატჩი

რუმინეთი 25:10 იაპონია

რუმინეთი: 15 ვალენტინ მაფტეი, 14 ბოგდან ვოიკუ, 13 კრისტიან სუანი, 12 რომეო გონტინიაკი, 11 იოან ტეოდორესკუ; 10 იონუც ტოფანი, 9 ვალენტინ კალაფეტეანუ; 8 ალინ პეტრაჩი (კაპ), 7 მარიან ტუდორი, 6 კოსტიკა მერსოიუ, 5 კრისტიან პეტრე, 4 კორნელ ტატუ, 3 მარსელ სოკაკიუ, 2 რაზვან მავროდინი, 1 პეტრუ ბალანი

სათადარიგოები: 16 პეტრისორ ტოდერაშკი, 17 ბოგდან ზებეგა, 18 სეზარ პოპესკუ, 19 ჟორჟ ოპრისორი, 20 იულიან ანდრეი, 21 იონუ დიმოფტე, 22 დანუ დუმბრავა

3ლ: ტუდორი, საუანი, პოპესკუ; 2გ: ტოფანი; 2 ს: ტოფანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლობა, რომ გადაგვთელეთ

მსოფლიოს ჩემპიონმა სტუმარი კმაყოფილი გაიხტუმრა

20 ნოემბერი. თვიქნემი

ინგლისი 32:16 სამხრეთ აფრიკა

ინგლისი: რობინსონი (კაპ), ლიუსი, ტინდალი, პოლი, ქუეტო; ჰოჯსონი, გომარსალი; კორი, მუდი, ვორსლი, ბორსვიკი, გრივკოკი, ვაითი, ტომპსონი, როუნთრი

სათადარიგოები: ტიტერელი, შერიდანი, კეი, ჰაზელი, ელისი, გრინვუდი, კოენი

2 ლელო: ჰოჯსონი, ქუეტო

2 გარდასახვა: ჰოჯსონი; 5 საჯარიმო: ჰოჯსონი 5; 1 არეკნი: ჰოჯსონი

სამხრეთ აფრიკა: მონტგომერი, პოლსი, ჟუბერი, დე ვეტ ბერი, დე ვილერსი; ფან დერ ვესტჰოიზენი, დიუპრე; ფან ნიკერკი, ვენტერი, ბურგერი, მეტფილდი, ბოთა, ენდრიუზი, სმიტი (კაპ), დუ რანდტი

სათადარიგოები: შიმანჯი, ფან დერ ლინდე, როსოუ, ბრიტცი, კლაასენსი, ფიური, ჰაბანა

1 ლელო: ჰაბანა

1 გარდასახვა: მონტგომერი; 3 ჯარიმა: მონტგომერი 3



REUTERS ფოტოებიდან

ინგლისელმა ჩარლი ჰოჯსონმა სამხრეთაფრიკელებს ყველაფერი გაუტანა

ქართველი გულშემატკივრისთვის ყველაზე საინტერესო მატჩი შაბათს კრასნოდარში გაიმართა, სადაც მრავალჩაგრული რუსეთი კიდევ ერთხელ დავჩაგრეთ, მაგრამ დანარჩენი მსოფლიოს ყურადღება უფრო დასავლეთ ევროპისკენ მიპყრობილიყო. იქ ისეთი ბობოლები ბურთაობდნენ, ჩვენ რომ მათ დონემდე სინათლის წლები გვიკლია და ამიტომ ბუნებრივია, მკითხველთათვის მათი ამბავიც არ უნდა იყოს უინტერესო.

სამხრეთ აფრიკა, რომელიც ევროტურამდე „დიდი სლემის“ მოგებას ეშურებოდა, ერთი კვირის წინ ირლანდიამ გააწბილა, ამ შაბათს კი „ქურციკები“ ინგლისს ესტუმრნენ და კიდევ ერთი კარგი სარაგბო გაკვეთილი მიიღეს.

თვიქნემში ციოდა და ამინდიც საკმაოდ ნესტიანი იყო, სწორედ ისეთი, ბრიტანელები რომ არიან ნაჩვევნი. ეს ისე, ინფორმაციისათვის, თორემ აფრიკელთა გვემაში ამინდს დიდი წვლილი არც მიუძღვის. ნამარცხევს თავად ჯეკ ვაითმა, „ქურციკთა“ მწყემსმა აღიარა, ინგლისელებმა ისე მოგვიგეს, როგორც კაცები მოუგებდნენ უწველულ ბიჭბუჭებსო.

მასპინძლები ჰოჯსონის ზუსტი საჯარიმო დარტყმით უკვე მეორე წუთზე დაწინაურდნენ, თუმცა მეთერთმეტეზე მონტგომერიმ საჯარიმოთი უპასუხა და ანგარიში გაათანაბრა. 3:3 სულ რაღაც 4 წუთში შეიცვალა, — ჰოჯსონმა „აიწყვიტა“, მეთხუთმეტე წუთზე ლელო გაიტანა და პირადად გარდასახა, შემდეგ ერთი გარდასახვა კუეტოს ლელოსაც მოაყოლა და 26-ე წუთისთვის მასპინძლები უკვე 17:6 იგებდნენ. სამიოდ წუთში მონტგომერიმ ისევ შეძლო სხვაობის შემცირება, თუმც ტაიმის დასრულებამდე ჰოჯსონმა კიდევ ერთი სამქულიანი მიითვალა. პირველი ტაიმის ბოლოს ტაბლოზე 20:6 ენთო და აშკარად ჩანდა, რომ აფრიკელები მეტოქეს ყოველ კომპონენტში დაეჩაგვრინნენ.

მეორე ტაიმში პირველი ქულები მაინც „ქურციკებმა“ მოიპოვეს. მონტგომერიმ კიდევ ერთი საჯარიმო შეასრულა ზუსტად. თუმცა ჩარლი ჰოჯსონმა, ინგლისელთა 10 ნომერმა, რომელმაც 27 ქულა მარტომ მოინაგრა, 50-ედან 69-ე წუთამდე კიდევ 3 საჯარიმო და ერთიც არეკნი გამოაცხო და ანგარიში 32:9 გაზარდა. 72-ე წუთზე აფრიკელი ჰაბანას ლელო მონტგომერის გარდასახვითურთ ერთადერთი იყო, რაც დარჩენილ დროში სამხრეთაფრიკელებმა მოახერხეს.

მატჩის შემდგომ ჯეკ ვაითი აშკარად დათრგუნული ჩანდა — „ახლა ხომ ხედავთ, რატომაა ინგლისი მსოფლიოს ჩემპიონი. წლეულს ასეთი მეტოქე არ გვყოლია. როდესაც გუნდში ისეთი მორაგბეები თამაშობენ, როგორებიც დენი გრივკოკი, ჯო ვორსლი და ჯულიან ვაითი არიან, მაშინ ყველაფერს უნდა ელოდო და წაგებას შეეგუო. მთავარია, რომ ბევრი ხარვეზი აღმოვაჩინეთ ჩვენს თამაშში და ახლა მათ აღმოფხვრაზე უნდა ვიმუშაოთ.“ ვაითს გუნდის კაპიტანმა ჯონ სმიტმაც დაუკრა კვერი — „ყველაფერს თავისი დადებითი მხარე აქვს. კარგია, რომ ასეთი რამ ახლა მოხდა და არა 3 წლის შემდეგ, მსოფლიოს თასზე. დავინახეთ, რა არის გამოსასწორებელი და სამუშაოდ საკმარისი დრო გვაქვს.“

ინგლისელთა თავკაცი ენდი რობინსონი შეგირდების თამაშით კმაყოფილი დარჩა და განსაკუთრებით დაცვა შეაქო. ისიც აღნიშნა, გუნდში ძალიან ბევრი ახალბედა გვყავს, ვიცოდი, რომ თავის შანსს გამოიყენებდნენ და ბოლომდე იბრძოლებდნენ. ასეც მოხდა და ძალიან კმაყოფილიც გახლავართო.

მამალმა თხარა, თხარაო

არგენტინამდე ფრანგებს არაფერი ეტკინოთ

20 ნოემბერი. მარსელი

საფრანგეთი 14:24 არგენტინა

საფრანგეთი: 1 ლელო: მარში; 3 საჯარიმო: მიშალაკი (2), ელისალდე

არგენტინა: 2 ლელო: დურანდი, კოსტილია; 1 გარდასახვა: კონტეპომი; 4 საჯარიმო: კონტეპომი

20 ნოემბერი. გლაზგო

შოტლანდია 17:31 ავსტრალია

შოტლანდია: 1 ლელო: ჰოგი; 4 საჯარიმო: პატერსონი

ავსტრალია: 4 ლელო: ტუქირი, ვუ, ფიტო, გრეგანი; 4 გარდასახვა: ფიტო (3), ფლეტლი; 1 საჯარიმო: ფიტო

20 ნოემბერი. კარდიფი

უელსი 25:26 ახალი ზელანდია

უელსი: 2 ლელო: შენკლინი, დევისი; 5 საჯარიმო: ს. ჯონსი (3), ჰენსონი (2)

ახალი ზელანდია: 3 ლელო: როკოკოკო (2), მულიაინა; 1 გარდასახვა: კარტერი; 3 საჯარიმო: კარტერი

20 ნოემბერი. დუბლინი

ირლანდია 55:6 აშშ

ირლანდია: 7 ლელო: მერფი (2), მილერი, ბოუი, ჰორანი, შიენი, სტრინგერი; 7 გარდასახვა: ჰამფრისი; 2 საჯარიმო: ჰამფრისი

აშშ: 2 საჯარიმო: ერკუსი

წლევანდელი სანოემბრო ტესტ-მატჩები იშვიათი სანახაობებითა და დაძაბული მატჩებით სულ უფრო ახარებს გულშემატკივარს. თანაც, შაბათი ისე არ ჩაივლის, რაიმე მოულოდნელობა არ მოხდეს.

წინა კვირაში ფრანგმა „მამლებმა“ ავსტრალიელი „ვოლაბები“ ხომ „დაკორტნეს“ და ევროპელთა მწვრთნელიც უმალ მსოფლიოს დაემუქრა, მოვდივართ და დაგვიდექითო. თუმცა, ფრანგები თურმე არც ისე აქოჩრილები ყოფილან. შაბათს „მამლებს“ არგენტინელი „პუმები“ მათსავე „საქათმეში“ დაეცხრნენ — მარსელის „სტად ველოდრომზე“ 24:14 დაამარცხეს. როდის იყო, „მამალი“ „პუმას“ ერეოდა? როდის და, დიდი ხნის წინ, რადგანაც ბოლო სამ შეხვედრაში სწორედ არგენტინელებს ჰქონდათ ნამარჯვი და ახლა მეოთხე მოგებაც მიითვალეს. ფრანგთათვის ეს მარცხი ორმაგად საწყენია. ჯერ ერთი, რომ ფრანგული რეკორდის დამყარება, 9-მატჩიანი მოგებათა სერია, გაურკვეველი ვადით გადაიდო და მეორე — ფრანგებს „სტად ველოდრომზე“ აქამდე არ წაეგოთ.

„პუმები“ თავიდანვე ეკვეთნენ მასპინძლებს და მეცხრე წუთზე კონტეპომიმ საჯარიმოთი პირველი ქულები მოუტანა სტუმრებს. მე-14 წუთზე მან 49 მეტრიდან გააკეთა ივივე და სხვაობაც 6 ქულამდე გაიზარდა. 25-ე წუთზე დურანდმა ფრანგებს უკვე ლელოც დაუდო, კონტეპომიმ გარდასახა და არგენტინელთა უპირატესობა აშკარად გამოიკვეთა. „მამლებმა“ მალევე მოიმარჯვეს დეზები. ტონი მარშმა ლელო გაიტანა და მასპინძლებს პირველი ხუთი ქულა მოუტანა, თუმცა შესვენებამდე კონტეპომიმ კიდევ 3 საჯარიმოს დარტყმა მოასწრო, აქედან 2 ზუსტი გამოდგა და ტაიმიც 19:5 დამთავრდა არგენტინელთა სასარგებლოდ.

მეორე ნახევარში ფრანგმა ელისალდემ, რომელმაც მანამდე რამდენიმე ჯარიმა არაზუსტად დაარტყა, როგორც იქნა, შეძლო ერთის გატანა, მიშალაკმა ამას კიდევ ორი მიაყოლა და თითქოს მოყოჩაღებული ფრანგებიც „ერთი ლელოს მანძილზე“ მიუახლოვდნენ მეტოქეს — 19:14. ბევრს ეცადნენ მასპინძლები, სახიფათოდაც უტევდნენ, რამდენჯერმე ლელოს გატანის შანსიც ჰქონდათ და რამდენიმე საჯარიმო დარტყმაც ერგოთ, მაგრამ აღარაფერი გამოუვიდათ. ის კი არა, დამთავრებამდე 1 წუთით ადრე ლუკას კოსტილია გაეპარათ და მანაც საბოლოო ანგარიში, 24:14 დააფიქსირა.

კიდევ ერთი საინტერესო მატჩი უელსში გაიმართა. იქაურები ახალზელანდიელებს დაუხვდნენ და დიდი ბრძოლაც გაუმართეს. ისევე როგორც სამხრეთ აფრიკასთან მატჩში, მასპინძლებმა აქაც ბოლომდე იბრძოლეს და 26-ე წუთისთვის 11:3 იგებდნენ კიდეც, მაგრამ საბოლოოდ „მაორებმა“ თავისი გასატანი მაინც გაიტანეს და მოიგეს. მატჩის დასასრულამდე 5 წუთი იყო დარჩენილი, როდესაც ახალზელანდიელები 26:22 იგებდნენ, ჰენსონმა რომ საჯარიმო დარტყმით სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირა — 26:25 და კიდევ 5 წუთი თამაშის დასასრულამდე ვინ იცის, უელსელებს ცოტა იღბალსაც რომ ზურგში ხელი წაეკრა, იქნებ კიდევ ერთი მოულოდნელი შედეგიც გამომცხვარიყო, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა და ზელანდიელებმაც რთულ ბრძოლაში იმარჯვეს.

შოტლანდიაში ავსტრალიამ მორიგი გამარჯვება მიითვალა — 31:17. ბრიტანეთის მეზობლად, ირლანდიაში კი აშშ-ს ნაკრები ჩავიდა და მასპინძლებთან, რომლებიც ფაქტობრივად მეორე შემადგენლობით თამაშობდნენ, 55:6 განადგურდა.

ლადო ფულუკიძე

REUTERS კორდოვიდან

ახალზელანდიელი ჯო როკოკოკო უელსელთა ლელოში შეეჯრინდა

საქართველოს ჩემპიონატი

დამატებითის დამატებითი

სტუდენტებმა გამოცდა ოთხ წამში ჩააბარეს



ფოტოგრაფი ფოტოგრაფია

ლაშა ლოსაბერიძის (№11) და ზურაბ ტომარაძის „დინამომ“ თითქმის დაამარცხა „სტუ-ჯეოსელი“

21 ნოემბერი. ვერის ბაღი

სტუ 105:99 დინამო

ძირითადი დრო 79:79

23:18 16:15 23:26 10:20 8:8 18:12

სტუ: დ. ბერიშვილი (8), გოგობერიშვილი (4), მარკოიშვილი (29), კეიდია (13), შანიძე (24); მიქაძე (14), ჯაფარიძე (13), კოხრეიძე, გაგნიძე

დინამო: გამყრელიძე (13), ხეცურიანი (19), ლოსაბერიძე (17), ლიდია (20), სუხიშვილი (13); ლაფანაშვილი (14), ბექაური

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: მურმან ქურიძე

მაკაბი 83:80 სსუ

16:20 14:22 20:16 23:22

მაკაბი: ნინოშვილი (7), გვარამაძე (6), კონჯარია (9), ვაშაკიძე (29), ფიცხელაური (11); კოტაძე (13), ერგემლიძე (8)

სსუ: ნინუა (14), პატარაია (11), ზანგულაშვილი (2), ონიკაშვილი (19), ქვილითაია (4); ურიდია, გოლეთიანი (11), მ. ბერიშვილი (19)

მსაჯები: მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა

კომისარი: როლანდ გელოვანი

ირაკლი პერტაია

მეორე ოვერტაიმის დასრულებამდე ორწუთნახევარი რჩებოდა, როცა ლადო სუხიშვილმა ორი საჯარიმო ჩაგდო და „დინამო“ 94:88 დაწინაურა. ამ მომენტისთვის ტექნიკოსთაგან პერსონალურების გამო თამაშიდან გავარდნილები იყვნენ რამაზ გოგობერიშვილი და დავით ბერიშვილი, რაც საკმარისზე მეტ საბაბს იძლეოდა, გვეფიქრა, 6 ქულით ჩამორჩენილი სტუ მარცხს ვერ გადაურჩებაო, მაგრამ... გადაურჩა და მერე როგორ... ტექნიკოსები მოულოდნელად ისე ათამაშდნენ, ვერანაირი ძალა წინ ვერ დაუდგებოდათ. 40 წამში (!) სტუ-მ ანგარიშიც გაათანაბრა, წინაც გავიდა, საბოლოოდ 6 ქულით იქით დაამარცხა „დინამო“.

მაშ ასე, ფედერაციისგან ცენტრალურ მატჩად შერაცხულმა „დინამო — სტუ-მ გაამართლა. მყურებელმა ორი ოვერტაიმი იხილა, რაც, როგორი უხარისხო თამაშიც უნდა ყოფილიყო, გინდა არ გინდა, დადებითი ემოციებით გმუხტავს და განგაწყობს.

არ იქნება, არ გავიხსენოთ ამ გუნდების ბოლო შეხვედრა დუდუ დადიანის ხსოვნის ტურნირს ფინალში. იმ შეხვედრის ძირითადი დრო, გუშინდელის მსგავსად, ფრედ დამთავრდა და დამატებითში მაშინაც სტუ-მ იმარჯვა.

გუშინ კი ორი ოვერტაიმი ვიხილეთ, რასაც ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა. რატომ? სტუ-მ თავიდანვე რომ მოიპოვა გვარიანი უპირატესობა, თითქმის მთელი თამაში ჯაბნიდა მეტოქეს. ტექნიკოსები ნიადაგ ლიდერობდნენ, ხან ბევრით, ხან ცოტათი, მაგრამ ბოლოსკენ „დინამომ“ თამაში გამოასწორა, ანგარიში გაათანაბრა და ძირითადი დროის დასრულებამდე 2 წუთით ადრე პირველად დაწინაურდა. — 79:77. სირენამდე ბევრიც აღარ ჩავარდნილა. რამაზ გოგობერიშვილმა ამ მატჩში პირველი ქულები საჯარიმო ხაზიდან მოითვალა და 40-წუთიანი ბურთაობა 79:79 დასრულდა.

ძირითად დროში თამაში, როგორც ვთქვით, ერთი სცენარით მიმდინარეობდა. თითქოს სტუ კატეგორიულად ეთამაშებოდა მეტოქეს, ხან წინ გაიჭრებოდა, ხანაც ზედ კუდზე დაისვამდა. ვერ ვიტყვით, შემადგენლობის მხრივ „დინამო“ სტუ-ს ჩამორჩებოდაო, მაგრამ რაშიც სტუდენტები ყოჩაღობდნენ, შეკრულ-შეთამაშებული ბურთაობა იყო. „დინამო“ კი გზადაგზა კრეფს მოთამაშეებს, ხორვატი მწვრთნელიც ახლახან გაუშვა და რა გასაკვირია, სტუ-ზე აწყობილად რომ ვერ ირჯებოდა.

სტუდენტებს დიდად ეხმარებოდა ირანიდან მობრუნებული ცენტრი ირაკლი ჯაფარიძე, თუმც ფარქვეშ მასზე არანაკლებ ხეიროობდა შედარებით ტანმორჩილი ირაკლი შანიძე. „დინამოს“ სამწვანიანს თითქმის ყველა სტუდენტი ეტანებოდა, რაკი ეს გუნდი ცოტა ხნის წინ უცენტროდ იყო და ფარქვეშ თამაში მათ დაბლებსაც მეტნაკლებად შესწავლილი აქვთ.

„დინამო“ კი უფრო შორ სროლებს ეძალებოდა და თან სწრაფ შეტევებს არ ივიწყებდა, რითაც არაერთხელ გაარღვია სტუ-ს მწყობრი ზონა. სტუდენტებს კი ერთი კაცი ჰყავდათ სნაიპერად — გიორგი მარკოიშვილის სამქულიანები ჰაერივით იყო ტექნიკოსებისთვის, რომელიც ათამაშებულ დინამოელებს დროდადრო ცივ შხაპს ავლებდა.

„დინამოს“ რომ მოეგო, მატჩის გმირი შიო ხეცურიანი გახდებოდა, რომელიც მთელი თამაში ფხიზლად ამყოფებდა სტუ-ს მცველებს, ბოლოს კი დაცვაში თავად აღიმართა გაუვალ კედლად.

...ძირითადი დროის დასრულებამდე სამიოდ წუთით ადრე სტუ 6 ქულით იგებდა და უტევდა, როცა ხეცურიანმა მეტოქეს შეტევა ჩაშალა და დინამოელთა შტურმს დაუღო სათავე. აქედან მოყოლებული შიო უბადლოდ ირჯებოდა დაცვაში, ბურთებს ხომ ჭრიდა და ერთი-ორჯერ უმნიშვნელოვანესი დაფარებაც მიითვალა. დინამოელ შემტევებს ისეთივე ყოჩაღად რომ ეთამაშათ, როგორც ხეცურიანს დაცვაში, ზურაბ ტომარაძის გუნდს გამარჯვება გარანტირებული ჰქონდა, მაგრამ...

ბოლოს იმ სიახლეზეც უნდა ვთქვათ, რომელსაც კალათბურთის ფედერაცია ნერგავს ცენტრალური მატჩის მსვლელობისას. მოცეკვავე გოგონები და მაყურებელთა შორის გამართული ტურნირები უცხოეთში სულაც არ გახლავთ სიახლე, თუმც გარეობის ეს ელემენტები ქართულ კალათბურთში ახლა შემოდის. ვინ იცის, ამის გამო იყო, თუ სხვა მიზეზით, მაგრამ „დინამო“ — სტუ-ს საკმაოდ ბევრი გულშემატკივარი ჰყავდა. თუმცა მათ, ვისაც მოცეკვავე გოგონების ხილვა სურდა, არ გაუმართლათ, რაკი ეს სიახლე მომავალი კვირიდან შემოვა ვერის ბაღში, ხოლო სამქულიანების მინი-ტურნირი სახალისოდ წარიმართა და გამარჯვებულის გამოვლენა დროის სიმცირის გამო მომდევნო კვირისთვის გადაიდო.

სტუ	4	4	0	+118	8
თბილავიამშენი	4	3	1	+81	7
თსუ	4	3	1	+70	7
დინამო	4	2	2	+12	6
თუჯი	4	2	2	+37	6
მაკაბი	4	1	3	-71	5
სსუ	4	1	3	-118	5
ბურჯი	4	0	4	-129	4



ყველას მძლეველმა ასასიორუმ კოკაი დაგვმარცხა

ცისფერ მონღოლს ვერავინ აჩერებს

ერთი კვირაც და, მაკუტის მწვერვალიც დალაშქრეს. იმპერატორის თასისკენ მიმავალ გზაზე დაწინაურებულ სუმოისტთა სია არც შალთ-კვირის ჭიდაობებს შეუთხელია. ერთპიროვნული ლიდერი კვლავ უძლეველი მონღოლი იოკოძუნა ასასიორუა. კი გვინდოდა, 140 კილოგრამიან „ცისფერ დრაკონს“ „შავი ზღვა“ ვერ გადმოეცურა, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი შემჩერებელი ვერც ჩვენებური ლევან ცაგურია აღმოჩნდა და ვერც სუმოს 176-კილოგრამიანი ავტორიტეტი კოტონოვაკა.

ლევან ცაგურიას წასაქცევად მონღოლს ცხრა წამი დასჭირდა, თუმც ბევრი კოკაიზე გამოცდილი სუმოისტისთვის ეს დროც ბევრია 21-ე საუკუნის პირველ იოკოძუნასთან წაგებისას.

ეს იყო შალთის, კვირას კი კოკაიმ სეზონის ბოლო ბაშოზე თავისი მესამე გამარჯვება იზეიმა. ასასიორუს ჯავრი თავისზე უფროს ექსკომუსუბი სიმოტორიზე იყარა და უარყოფითი ბალანსი ცოტათი გამოასწორა.

სასურველი უქმეები მოიწყვეს ცისფერ დრაკონს ერთი ნაბიჯით ჩამორჩენილმა დიდკაცებმაც. ასეთი კი ოთხია: ოძეკი კაიო, სეკოვაკე ვაკანოსატო, დასავლეთის პირველი მაეგასირა ხაკუხო და რუსულ ფენიქსად წოდებული ოსი როხო. მეცხრე ტურის ბრძოლები დღეს შედგება და კოკაის მეტოქე ლიდერთა სიას გვარიანად ჩამორჩენილი კაკიძეე იქნება.

ოთარ მაღლაკელიძე

NBA რეგულარული ჩემპიონატი

— 19 ნოემბერი —

პორტლენდი 110:98 მილუოკი
პორტლენდი: სტუდემაიერი (33), რენდოფი (22 ქულა, 18 მოხსნა)
სტეფანია განაცხადში არ იყო
მილუოკი: რედი (29), მეისონი (22)
ფაჩულიას არ უთამაშია

დენვერი 99:81 ჩიკაგო
დენვერი: ბოიკინსი (32) ... ცქიტიშვილი (12 წუთი, 2 ქულა, 2 მოხსნა)
ჩიკაგო: ნოჩიონი (22)

დეტროიტი 82:97 ინდიანა
დეტროიტი: ჰამილტონი (20), რ. ვოლესი (19 ქულა, 10 მოხსნა), ბ. ვოლესი (13 ქულა, 10 მოხსნა)
ინდიანა: არტესტი (24), ონილი (20 ქულა, 10 მოხსნა)

ტორონტო 94:101 სიეტლი
ტორონტო: კარტერი (21), ალსტონი (20)
სიეტლი: ლუისი (27), ალენი (24)

საკრამენტო 107:105 მემფისი
საკრამენტო: ვებერი (31 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი), ბიბი (18)
მემფისი: სვიფტი (23)

ფინიქსი 107:102 ლეიკერსი
ფინიქსი: სტუდემაიერი (33), მარიონი (27)
ლეიკერსი: ბრაიანტი (29 ქულა, 11 მოხსნა, 10 პასი), ბატლერი (21)

დალასი 103:101 ნიუ იორკი
დალასი: ნოვიცკი (30), ჰოვარდი (22)
ნიუ იორკი: კროუფორდი (26)

მაიამი 107:105 იუტა
ძირითადი დრო 90:90
მაიამი: ვეიდი (39), ონილი (22)
იუტა: ბუზერი (25)

ბოსტონი 84:92 სან ანტონიო
ბოსტონი: პირსი (25), პეიტონი (16)
სან ანტონიო: დანკანი (26), ჯინობილი (21)

— 20 ნოემბერი —

ინდიანა 83:86 ორლანდო
ინდიანა: ჯონსი (31), ჰარისონი (19)
ორლანდო: ჰილი (28), თურქოღლუ (16)

ნიუ ორლეანი 94:99 მინესოტა
ნიუ ორლეანი: ნეილონი (21)
მინესოტა: გრიფინი (23), გარნეტი (20 ქულა, 12 მოხსნა), კასელი (20)

ნიუ ჯერსი 86:97 ვაშინგტონი
ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (22)
ვაშინგტონი: ჯემისონი (27), ჰიუზი (22)

ატლანტა 79:92 იუტა
ატლანტა: ჰარინგტონი (17)
იუტა: ბუზერი (20)

კლიპერსი 86:91 ჰიუსტონი
ძირითადი დრო 82:82
კლიპერსი: საიმონსი (20)
ჰიუსტონი: მაკგრეიდი (32), ჯეკსონი (16)

კლივლენდი 100:84 შარლოტი
კლივლენდი: ჯეიმსი (25), მაკინისი (24)
შარლოტი: ვოლესი (15)

გოლდენ სტეიტი 87:100 მემფისი
გოლდენ სტეიტი: მერფი (27)
მემფისი: სვიფტი (20 ქულა, 19 მოხსნა)



AP დეტროიტიდან

პარასკევს დეტროიტში დიდი დაკა-დაკა იყო. შეხვედრის ბოლო წუთზე დეტროიტელებმა და ინდიანელებმა ჯერ ერთმანეთს აუტეხეს მუშტი-კრივი, შემდეგ კი სტუმრები – რონ არტესტი (ფოტოზე) და სტივ ჯეკსონი ტრიბუნაზე ფანებს აუვარდნენ და იქაც იქნიეს ხელები

მასტერსთასი

ჰიუსტონი. მაგარსაფარი. საპრიზო 4,45 მილიონი $

ჩამიგდე, რამდენიც გინდა

ჰიუიტმა როდიკს ეისი მიუზრუნა

ჯგუფური ეტაპი

წითელი ჯგუფი
ლეიტონ ჰიუიტი (3, ავსტრალია) — გასტონ გაუდიო (8, არგენტინა) 6:2, 6:1

ლურჯი ჯგუფი
ენდი როდიკი (2, აშშ) — გილერმო კორია (6, არგენტინა) 7:6 (7:4), 6:3; მარატ საფინი (4, რუსეთი) — ტიმ ჰენმანი (7, ბრიტანეთი) 6:2, 7:6 (7:2)

ნახევარფინალი
როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — საფინი 6:3, 7:6 (20:18); ჰიუიტი — როდიკი 6:3, 6:2

REUTERS ჰიუსტონიდან

ასეთი რამ, რომ წლის დამაგვირგვინებელი ტურნირის ნახევარფინალში ამქრის ოთხი უჩაუქესი მეჩოგნე გასულიყოს, 1990 წლის შემდეგ აღარ მომხდარა. იმ წელს რეიტინგსიის სათავეში შტეფან ედბერგი, ბორის ბეკერი, ანდრე აგასი და ივან ლენდლი იდგნენ და სეზონის შემაჯამებელი რვაკაცა შეჯიბრის ბოლო ოთხეულშიც სწორედ ისინი გაირჯნენ. წლეულს კი ამ ოთხი ლეგენდარული მეჩოგნის ალაგი როჯერ ფედერერს, ენდი როდიკს, ლეიტონ ჰიუიტსა და მარატ საფინს უკავიათ და ჰიუსტონური მასტერსთასის გადამწყვეტ შეხლებშიც სწორედ მათი ჯიგრიანი ბურთაობით დავტკბით. თუმცა, სანამ ამ შეხლებზე ვისაუბრებდეთ, ხამს, ერთი სიტყვა ჯგუფური ეტაპის ბოლო დღეზეც ვთქვათ.

და, აი, რატომ:

გილერმო კორიას ძლევისას ენდი როდიკმა 15 ეისი მოაქუჩა და თავის საამსეზონო ეისთამასა 1008-მდე აიყვანა. ეს კი, დიაღ, გამოსარჩევი ამბავია და, დავთრებში თუ ჩავიხედავთ, ვნახავთ, რომ 1991 წლიდან, ანუ მას შემდეგ, რაც რომ ეიტიპიმ ეისთა დათვლა დაიწყო, ერთი სეზონის განმავლობაში 1000-ეისიანი მიჯნა მხოლოდ გორან ივანიშევიჩსა და პიტ სამპრასს გადაულახავთ. სახელიანმა ხორვატმა ამის გაკეთება სულაც ოთხჯერ შეძლო, 1996 წელს კი მან საერთოდაც ძალთუმრავლესი, 1477 გამჭოლი მოწოდება დააგროვა.

მაგრამ ეისობამა და მძლავრად გლაჯუნმა ტეხასელთა ჯილას ნახევარფინალში მაინც ვერ უშველა — მასტერსთასის ორგზის ჩემპიონმა ლეიტონ ჰიუიტმა, ვინაც ჯგუფური ეტაპის ბოლო დღეს გასტონ გაუდიო გაანადგურა, მხოლოდ მისთვის ჩვეული სიკისკასით ითამაშა და ლონიერი მეტოქე სულ რაღაც 58 წუთში მოსპო. ყველაფერი იმან გადაწყვიტა, რომ მის მოწოდებას თავიდანვე მოვეჭიდე და ბოლომდე არ მოვუშვებივარო, იძახდა ნამატჩევს ჰიუიტი. როდიკმა კი ამ მატჩში მხოლოდ შვიდი ეისი ჩააგრუხუნა.

რაც შეეხება ფედერერისა და საფინის განდაგანას, აქ საყოველთაო ალტაცება გამოიწვია უგრძელესმა ტაიბრეიკმა, რაიც ერთეულთა შეხვედრებში ძველი რეკორდის გამეორება გამოდგა. ასეთი ანგარიშით დაუსრულებიათ ტაიბრეიკი ბიორნ ბორგსა და პრემჯიტ ლალს 1973 წლის უიმბლდონობაზე და ზემოთხსენებულ ივანიშევიჩსა და დანიელ ნესტორს 1993 წლის აშშ-ის ღია პირველობაზე.

ასე რომ, ტურნირის ბედი გუშგვიანლამ ფედერერისა და ჰიუიტის შეხლაში უნდა გარკვეულიყო. შეგახსენებთ, რომ ჯგუფურ ეტაპზე 23 წლის შვეიცარიელმა მისკბილა ოზბიჭს საკმაოდ იოლად, 6:3, 6:4 აჯობა და პირადი ანგარიშიც გაუშვიდითშვიდა.

ლევან ძელაურაძე

Schumacher uber alles!!!

ფანებმა შუმინატორი ირჩიეს

მიხაელ შუმახერი

დიადი გერმანელი მეფორმულე მიხაელ შუმახერი თანამემამულე გულშემატკივრებმა თავიანთ ქვეყანაში XX. საუკუნის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს. გამოკითხვაში, რომელიც პოპულარულმა ტელეკომპანია ZDF-მა მოაწყო, 100 ათასზე მეტმა ქომაგმა მიიღო მონაწილეობა.

35 წლის „წითელმა ბარონმა" წლეულს მეშვიდედ (ზედიზედ მეხუთედ) დაიდგა „სამეფო რბოლების" გვირგვინი და 14-წლიან ზღაპრულ კარიერაში სხვაც უთვალავი ისეთი რეკორდი დაამყარა, ალბათ სათოფეზეც რომ ვერავინ გაეკარება. შუმინატორმა მეშვიდე ტიტული უზარმაზარი უპირატესობით მოიგო — სეზონის გასრულებამდე ოთხი რბოლით ადრე და თან სამი-ოთხი მორიგი „უკვდავი" მიღწევაც მიაყოლა.

ZDF-ის რეფერენდუმში 200 სუპერსპორტსმენის გვარი იყო. მიხაელმა აქაც დიდი სხვაობით აჯობა კონკურენტებს: „არ ველოდი, თუ ასეთ პატივს დამდებდნენ. ეს ჩემთვის დიდი სიურპრიზი იყო."

მეორე ადგილზე გავიდა ყველაზე ტიტულიანი გერმანელი ოლიმპიელი, 42 წლის ლეგენდარული ნიჩბოსანი ბირგიტ ფიშერი. ამ ჯანიანმა ქალმა 1980-დან 2004 წლის ჩათვლით ოლიმპიურ წყალში რვა ოქროს და ოთხი ვერცხლის მედალი „დაიჭირა".

საუკეთესოთა ხუთეულში არიან აგრეთვე 22 სლემტურნირის მომგები ჩოგბურთელი შტეფი გრაფი, ფეხბურთელ-მწვრთნელობისას თითოჯერ მსოფლიოს ჩემპიონი ფრანც ბეკენბაუერი და ჩოგბურთელთა ყველაზე პრესტიჟული, უიმბლდონის შეჯიბრის სამგზის ტრიუმფატორი ბორის ბეკერი.

ბირგიტ ფიშერი

შტეფი გრაფი



ფრანც ბეკენბაუერი

ბორის ბეკერი

ეროვნული ბიბლიოთეკა



აუ, აუზია!

გაჭირვებული დედაქალაქის ნამდვილი ფუფუნება

თანამედროვე არქიტექტურისა და დიზაინის ნიმუში თუ დემონსტრირება – ორიოდე სიტყვით ასე შეაფასეს მკვდრეთით აღმდგარი ვაკის საცურაო აუზი, რომელიც გუშინ საღამოს გაკონტაქტებული წარმოგვიდგა

საზეიმო გახსნაზე აუზის ხელმძღვანელმა ჯუმბერ ხატიაშვილმა თქვა, მიხარია, რომ აქ ბევრ ახლობელს ვხედავო, ეს ახლობლები კი ყოფილან საქართველოს მთავრობის, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლები, შიგადაშიგ ვეტერანი სპორტსმენები...

ერთი სიტყვით, აქ იყო ლამის მთელი ბომონდი.

რაღა თქმა უნდა, იყო საქართველოს პრეზიდენტი.

იქვე, ეკრანზე გვიჩვენეს ამ აუზის ამსახველი მოკლე ისტორია, რომელიც სპორტსმენთა სამსახურში 1964 წლის მერე იყო. იყო ბოლო ლამის თხუთმეტწლიანი უქმად დგომაც, შარშან კი საქმე დაიძრა და 40 წლის წინ აშენებული აუზი გუშინ მეორედ დაიბადა.

„ეს არის მნიშვნელოვანი შენაძენი თბილისისა და მთელი საქართველოსთვის — ამბობს მიხეილ სააკაშვილი — მე ცურვა აქ ვისწავლე ისევე, როგორც მთელმა თაობებმა. მერე აუზს ისეთი დროება დაუდგა, რომ აქ დელფინებიც კი ველარ ცურავდნენ. სამწუხაროდ, 1997 წელს აუზის დანგრევა მოინდომეს და ამის ნებართვაც კი არსებობდა. მაშინ აქ სახლების აშენება სურდათ, მაგრამ ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ვიბრძოლეთ, ფიზიკური შეხლა-შემოხლაც კი გვქონდა და ამგვარად ეს აუზი გადავარჩინეთ. მიხარია, რომ ახლა საქართველოში თანამედროვე მშენებლობები მიმდინარეობს და არა პრიმიტიული. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საქართველოში ჯანსაღი ცხოვრების წესი დავნერგოთ. აღორძინდება ცურვა, წყალბურთი, წყალში ხტომა. გაისად ბორჯომში გვექნება საცურაო აუზი, მერე კიდევ ერთი აუზი დასავლეთ საქართველოში“...

სიტყვის დასასრულს, საქართველოს პრეზიდენტმა მასპინძელთა თხოვნით წითელი ლენტის გაჭრის ნაცვლად იქვე კოხტა ზარის კურანტს ჩამოჰკრა და აუზიც საზეიმოდ და ორიგინალურად გაიხსნა. შეკრებილმა საზოგადოებამ შამპანურის ბოკლები იქვე დატოვა და ყველამ უშუალოდ სარბიელზე გადაინაცვლა.

წყალში თანამედროვე ნერეიდებმა — სინქრონულად მოცურავეებმა ანთებული სანთლებით იცურავეს. თავიანთი ოსტატობა გვიჩვენეს, ნორჩმა წყალში მხტომელებმა, მერე კი ვეტერანების, ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონის, სიდნეის ოლიმპიური თამაშების მონაწილის ნანა ნებიერიძისა და მთლად მივიწყებული ევროპის ორ-ორგზის ჩემპიონისა და თასის მფლობელის გიორგი ჩოგოვაძის თითო ნახტომის ვიხილეთ...

დავათვალიერეთ სავარჯიშო ოთახებიც, რომლებიც უძვირფასესი, ულტრათანამედროვე ნაირგვარი ტრენაჟორებით იყო აღჭურვილი. მასზე მოვარჯიშენი პედლებს რომ ატრიალებდნენ, თან საჭეზე დამონტაჟებულ ტელეეკრანზე ფილმებითა თუ კონცერტების ცქერით ერთობოდნენ.

საქართველოს წყალში მხტომელთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ალექსანდრე ბართაია აღტაცებას ვერ ფარავდა. ჩვენთვის ხუთი უძვირფასესი ტრამპლინი ჩამოიტანეს და დაამონტაჟეს, გვაქვს აკრობატული ბილიკი და ორი ისეთი ბატუტი, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ რუსუდან ხოფერიასაც რომ შეშურდებაო.

ვაკის აუზის კლუბში გაწევრიანებულთ იქ არა მხოლოდ ცურვა და ტრენაჟორებზე ვარჯიში შეეძლებათ, არამედ გარუჯვაც, რასაც ულტრაიისფერი სხივების ნაკადები განაპირობებენ.

ამას გარდა, მართლაც და, აირჩიე, სული და გული: აქეთ ფინური საუნა, რუსული აბანო, ორთქლის ოთახი, იქით კიდევ მასაჟის ოთახი, წყლის მასაჟი, აერობიკის სტუდია თუ ბარი...

რა თქმა უნდა, ამ ჩამონათვალში მოსატანი აღარცაა გათბობისა და ჰაერის კონდენცირების სისტემები თუ წყლის ფილტრაცია.

რამდენიმე წყალბურთელმა, შთაბეჭდილებებს რომ გვიზიარებდა, გვითხრა, მრავალი ქვეყნის საცურაო აუზში ვყოფილვართ, მაგრამ ამის მსგავსი რემონტი და აღჭურვილობა არსად გვინახავსო. მათ ნათქვამს ჩვენც ორივე ხელით ვეთანხმებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ყველაფრით სპორტსმენთაგან ალბათ მხოლოდ წყალში მხტომელები და სინქრონულად მოცურავეები თუ ისარგებლებენ, წყალბურთელებს კი, ეტყობა, აუზში არ ჩაუშვებენ — მათმა ნატყორცნმა ბურთმა შესაძლოა სარკეები და ტრენაჟორების მინის კედლები დალეწოს.

ისიც ნათელია, რომ აქ ძველებურად ველარც წყალბურთელთა თუ მოცურავეთა შეჯიბრებები ახმაურდება, რადგან ტრიბუნები თითქმის აღარ დაუტოვებიათ, გამაჯანსაღებელ ჯგუფებში თუ აქაურ კლუბში კი გაწევრიანებას მხოლოდ შეძლებულნი, უფრო სწორედ, საკმაოდ შეძლებულნი შესძლებენ.

ასეა თუ ისე, აუზის გუშინდელი საზეიმო გახსნა ისე დასრულდა, როგორც საზეიმო დღეს შეფერის — ვაკე ნაირფერმა მქუხარე ფოიერვერკმა გაანათა და თბილისს უძვირფასესი გამაჯანსაღებელი ბაზა შეემატა, რაც დღესდღეობით გაჭირვებული დედაქალაქისთვის ნამდვილი ფუფუნებაა.

ავთანდილ ბჟვიშელი

ბადრი ქეთილაძის ფოტოები

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge